645
1980

ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

აპრილი
№ 4 1980 წ.





ყინული დაიძრა!

ნახატი ნ. ჟუკოვისა


„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

# ჩვენი ილიჩი

გ. ლოზგაჩევ-ელიზაროვი
წიგნიდან: „დაუვიწყარი"*

**ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავი**




ძალიან მიყვარდა, როცა თან ვახლდი ხოლმე ვლადიმერ ილიჩს სადმე მგზავრობის დროს და, უნდა ითქვას, ამაზე თვითონაც იშვიათად მეუბნებოდა უარს. დავინახავდი თუ არა სახკომსაბჭოს შესასვლელთან ნაცნობ ვეებერთელა მანქანას „დელონე-ბელვილს", რომელსაც უცვლელი მძღოლი სტეფანე კაზიმირის ძე გილი მართავდა, და იქვე კარიდან გამომავალ ვლადიმერ ილიჩს, დაუყოვნებლივ მივირბენდი მასთან და ვეკითხებოდი:

— ვლადიმერ ილიჩ, საით?

იგი დაასახელებდა რომელიმე პროფკავშირულ ყრილობას ან მიტინგს.

— შეიძლება მეც წამოგყვეთ?

— კეთილი, წავიდეთ, რაკი გინდა. მერე არაფერია, უკან რომ გვიან უნდა დავბრუნდეთ? ანია არ გაგიჯავრდება?

— არაფერია, არ გამიჯავრდება. მე ხომ ვეტყვი, რომ თქვენ გახლდით, — და ავტომობილში ვძვრებოდი.

ანა ილიას ასულს, რასაკვირველია, ეჭვის ალებაც არ შეეძლო, სად ვიკარგებოდი.

ამ დროს კი მე ვლადიმერ ილიჩის კვალდაკვალ შევდიოდი დარბაზში, სადაც იგი უნდა გამოსულიყო.

ვლადიმერ ილიჩთან ერთად მომიწია დასწრებამ დიდ თეატრში საბჭოების მეექვსე და მეშვიდე ყრილობებზე. სხდომების დროს მოვეწყობოდი ხოლმე სცენასთან ახლოს, კიდის ლოჟაში, ეგრეთ წოდებულ დირექტორის ლოჟაში, და გასუსული თვალს არ ვაცილებდი ვლადიმერ ილიჩს.

იგი პრეზიდიუმში იქვე იჯდა, ჩემგან რალაც ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, ტრიბუნის ახლოს ნაპირა სკამზე და უსმენდა მორიგი ორატორის გამოსვლას, თან სწრაფად იწერდა რალაცას ფანქრით უბის წიგნაკში, რომელიც მუხლებზე ედო. დროდადრო ვლადიმერ ილიჩი თვალით მანიშნებდა ხოლმე, ჩემთან მოდიო. მეც კულისებიდან სცენაზე ავდიოდი. ამოხევდა იგი წიგნაკიდან ფურცელს და მავალებდა ბარათი გადამეცა ამა თუ იმ ამხანაგისათვის.

უდიდესი კმაყოფილებით ვასრულებდი ამ პატარა დავალებებს, მიხაროდა, რომ მეც შემეძლო სასარგებლო ვყოფილიყავი და თუნდაც პატარა სამსახური გამეწია ძვირფასი ადამიანისათვის.

ერთი რამ სამუდამოდ შემორჩა მეხსიერებას: ვლადიმერ ილიჩი, სადაც უნდა ყოფილიყო, არასოდეს რჩებოდა მარტო, განცალკევებული, იზოლირებული. პირიქით, მას მუდმივად გარს ერტყნენ ადამიანები. მასთან თავისუფლად და დაუბრკოლებლად შეეძლო ყოველ ადამიანს მისვლა, მიმართვა, დალაპარაკება და ლენინიც სიამოვნებით ეხმაურებოდა, ხალისით ესაუბრებოდა ყველას, დაწვრილებით უპასუხებდა კითხვებზე და შემთხვევით მოსაუბრეს თვითონაც აძლევდა შეკითხვებს.

---

* წიგნი „დაუვიწყარი", დაწერილია ვ. ი. ლენინის უფროსი დის — ანა ილიას ასულისა და მისი მეუღლის მარკ ტიმოთეს ძე ელიზაროვის შვილობილის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი მთელი არსებით მიისწრაფოდა ლენინისაკენ, კიდევ უფრო გატაცებით მიილტვოდა თვითონ ხალხისაკენ. ამაში მჟღავნდებოდა ბელადისა და ხალხის მჭიდრო, ურღვევი კავშირი. ხალხისათვის იგი ღვიძლი, ახლობელი ადამიანი იყო. ტყუილად როდი უწოდა ხალხმა მას დიდი სიყვარულითა და უბრალოდ: „ჩვენი ილიჩი“![1]

მე მინდა ვლადიმერ ილიჩის განსაკუთრებული ადამიანურობის შესახებ ძველი ბოლშევიკის ვ. ანტონოვ-სარატოვსკის გამონათქვამები მოვიგონო: „...ვლადიმერ ილიჩი არაჩვეულებრივი ყურადღებით, შესანიშნავი გულისხმიერებითა და ღრმა ინტერესით ეკიდებოდა თითოეულ მშრომელ ადამიანს. მისთვის არ არსებობდნენ ეგრეთ წოდებული უინტერესო ადამიანები. იგი თითოეულ მათგანში პოულობდა რაღაცას დასაფასებელს.

ლენინის გარშემო ყოველთვის სუფევდა ამხანაგური ატმოსფერო. იგი არასოდეს უსვამდა ხაზს თავის უპირატესობას. მასთან საუბარში გავიწყდებოდა, რომ შენს წინ ის ადამიანია, რომელსაც დიდი თანამდებობა უკავია... ჩვენ ყველას ლენინი დიდ ადამიანად და ბრძენ მეგობრად მიგვაჩნდა“.[1]





მრავალრიცხოვანი გამოსვლები მიტინგებზე, ყრილობებზე, უზარმაზარ წითელ მოედანზე, მოსკოვის საბჭოს აივნიდან, სადაც ათიათასობით კაცი აბსოლუტურ სიჩუმეში ხარბად იჭერდა ბელადის ყოველ სიტყვას, ლენინისგან ვეებერთელა ფიზიკური და ნერვული ენერგიის დახარჯვას მოითხოვდა, მაგრამ ვლადიმერ ილიჩი ხალხისადმი თავის წმიდათაწმიდა სამსახურში არც ძალას ზოგავდა, არც ჯანმრთელობას და უკლებლივ ყველაფერს დაუზოგავად სწირავდა.

რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში მოსკოვი სურსათის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. მუშათა კლასი, დედაქალაქის მთელი მოსახლეობა ნახევრად მშიერი იყო.

არც კრემლში ცხოვრობდნენ უკეთესად იმ დროს; რევოლუციის ბელადები ყოველგვარ გაჭირვებას ხალხთან ერთად ინაწილებდნენ.

ხალხი ამ ძნელ დროს არ ივიწყებდა თავის ილიჩს. ზოგჯერ ადამიანები თვითონ იკლებდნენ და ამაღელვებელი სიყვარულით გზავნიდნენ მცირე ამანათებს (სურსათის) შემდეგი მისამართით: „მოსკოვი, კრემლი, ამხანაგ ლენინს“. ვლადიმერ ილიჩი ასეთ საქმეებში მეტისმეტად კეთილსინდისიერი იყო. იგი არასოდეს სარგებლობდა რაიმე შეღავათით თუ პრივილეგიით, განსაკუთრებით კვების მხრივ. ვლადიმერ ილიჩი ივიწყებდა საკუთარ თავს და ყოველთვის ფრთხილად, მაგრამ ზრუნვით კითხულობდა, საკმარისად არიან თუ არა სხვა ამხანაგები კვების პროდუქტებით უზრუნველყოფილნი. განსაკუთრებით ოჯახის პატრონები ხომ არ შიმშილობენ ანდა ხომ არ განიცდიან გაჭირვებასო და მიღებულ ამანათებს უნაწილებდა.

სხვებზე მეტად თუ არა, ნაკლებად როდი წუხდა და ზრუნავდა ვლადიმერ ილიჩი ბავშვებისათვის. ამასთან დაკავშირებით, შეუძლებელია არ მოვიგონოთ ერთი შესანიშნავი ამბავი სურსათის ამანათისა, რომელიც ლენინს მიუტანეს მოსკოვ-კურსკის რკინიგზის მუშებმა. აი, რა არის ნათქვამი ამის თაობაზე რკინიგზელთა მოგონებებში:

„...შინიდან მოვიტანეთ, ვისაც კი რაიმე გაგვაჩნდა ყველაზე უკეთესი შემონახული, შაქრის, ბრინჯის, ბურღულის, ბარდის პაკეტები, გამხმარი ნაფოტა, მაგრამ იმ დროს, ყველაზე უფრო ძვირფასი ნობათში მოზრდილი ბარკალი აღმოჩნდა. მოკლედ, სამფუთიანი ამანათი გამოგვივიდა.

...ასე, ორი ტომრით დატვირთული მივედით კრემლში. გვეკითხებიან:

— რა მიგაქვთ? ვისთან?

— ასე და ასეო, — ვეუბნებით, — ამანათი ლენინთან მიგვაქვს, სავაგონო სახელოსნოების მუშებისაგან.

გასინჯეს რა გვქონდა ტომრებში და გაგვატარეს.

...ის იყო ჩამოვსხედით, რომ გაიღო შემოსასვლელი კარი და შემოვიდა ვლადიმერ ილიჩი. დანახვისთანავე მოგვესალმა, თან გვკითხა:

— საიდან ხართ, ამხანაგებო?

ჩვენ წამოვდექით, ტომრებზე ვანიშნეთ და ვუთხარით:

— ეს, ვლადიმერ ილიჩ, სასურსათო ამანათია თქვენთვის... მუშები მთელი გულითა და სულით გთხოვენ მიიღოთ.

ლენინმა გულთბილად გადმოგვხედა და ალერსიანად წარმოთქვა:

— კეთილი, ამხანაგებო, ძალიან კარგი, დიდი მადლობა!...

მერე, ყველასათვის მოულოდნელად, მდივანს მიუბრუნდა:

— მიიღეთ, გეთაყვა, ამანათი ამხანაგებისაგან, აღწერა გააკეთეთ და ყველაფერი დაუყოვნებლივ გაგზავნეთ საბავშვო ინტერნატში...

ძველმა უპარტიო მჭედელმა ზახაროვმა მოისმინა ეს ამბავი და თქვა:

— „ლენინს უნდა გავუფრთხილდეთ საკუთარ თვალის ჩინზე მეტად. ისეთი ადამიანები, როგორიც ის არის, ათას წელიწადში ერთხელ იბადებიან“[2]...

ასეთი შემთხვევა ერთი როდი იყო, ეს მხოლოდ ერთი მრავალთაგანია...

ვლადიმერ ილიჩს სულ არ აწუხებდა, რომ მისი ისედაც მცირერიცხოვანი კოსტუმები უკვე საკმაოდ გაცრეცილი იყო, რომ იძულებული ხდებოდა ჩაეცვა მარია ილიას ასულის ან ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის ხელით დაკემსილი წინდები, რომ მისი ქუდი მუდამ ძლიერ დაჭმუჭნული იყო, რადგან, როცა სადმე მუშათა მიტინგზე გამოდიოდა, წარამარა იჩრიდა ჯიბეში, ანდა მუჭში მოქცეულს ხელთან ერთად ამოძრავებდა. როცა ილიჩი შეიტყობდა, რომ ვინმეს უჭირდა ბრაზობდა, დაჟინებით მოითხოვდა და აღწევდა იმას, რომ ამ ამხანაგისათვის დახმარება და მხარდაჭერა გაეწიათ.

ეცხოვრა სხვისათვის, ეფიქრა და ეზრუნა სხვებისთვის, — აი, რა იყო ბუნებრივი და კანონზომიერი ვლადიმერ ილიას ძე ლენინისათვის.

**თარგმნა ვ. ქრისტესიაშვილმა**

[1] „კომუნისტი“, 1907 წლის 28 აპრილი (სარატოვი).

[2] „შეხვედრები ლენინთან“, „რკინიგზელთა მოგონებები“, მ., 1958, გვ. 107.

ანა კალანდაძე

## ლენინის ქუდი

მოსკოვში, სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საჩუქართა გამოფენაზე, წარმოდგენილია ლენინის ქუდი, რომელიც ფრანგებმა გამოუგზავნეს საჩუქრად ი. ბ. სტალინს.

აქ დიდხანს ვჩერდები... ამ ძვირფას საჩუქარს
მტრისაგან ფარავდა მზრუნველი ხელი.
ირხევა სარკმელთან ლამაზი არყის ხე,
არყის ხე, ასე რომ უყვარდა ლენინს...

სარკმლიდან მოსკოვის ცა მოჩანს უსაზღვრო,
მოსკოვის უსაზღვრო ცა ლილისფერი.
მე ვფიქრობ ლენინზე და ასე მგონია,
ხალხმრავალ დარბაზში მე ვუსმენ ლენინს.

მორიგი საკითხი — მიწა და მშვიდობა,
ომებით დაღლილი ხალხების ბედი...
და ისმის დარბაზში: ჩვენ შენთან წამოვალთ,
მშვიდობას დავიცავთ საკუთარ მკერდით!

ყრილობამ დღეს ნახა ლენინი პირველად,
ლენინი — აი, ის, იმედის შუქი...
ლენინის ყველაფრის მხედველი თვალები,
ლენინის მაღალი, ნათელი შუბლი...

გაჭედილ დარბაზში ხანგრძლივი ტაშია,
ძახილი: „აი, ვინ, ვინ არის ჩვენი!“
მე ვფიქრობ ლენინზე და ასე მგონია,
მე ჭკვიან თვალებში ვუყურებ ლენინს.

ამ ძვირფას საჩუქარს ფრანგები გზავნიან,
ეს ქუდი ეხურა ვლადიმერ ლენინს...
მე მესმის პარიზის ქუჩების ხმაური,
მე მესმის ჩურჩული ნაღვლიან სენის...

და აი, პარიზის მუშათა უბანი,
ქოხების შავი და დაბალი ჭერი
და... უმუშევართა ბრბო... მთელი არმია...
ცა უღიმღამო და ცა ტყვიისფერი...

ლენინის ქუდი... მას ჭერდაბალ ქოხებში
მტრისაგან ფარავდა მზრუნველი ხელი.
აქ, ასეთ ქოხებში, დღეს ფრანგი დოკერი
რა ფრთხილად ფურცლავს და კითხულობს ლენინს!

ის მუხლს არ მოიყრის დოლარის წინაშე,
არასდროს მორჩილი და თავდახრილი...
ფრანგები იბრძვიან მშვიდობის მხარეზე, —
ამაყი ქვეყანა რუჟე დე ლილის.

გაყინულ მინაზე მზის სხივი ციალებს...
ქართან რომ ჩურჩულებს, არყის ხის რტოა...
მოსკოვში მშვიდობა, მოსკოვში მზე არი,
კრემლიდან სტალინის ღიმილს რომ მოაქვს.

სარკმლიდან მოსკოვის ცა მოჩანს უსაზღვრო,
მოსკოვის უსაზღვრო ცა ლილისფერი.
ირხევა სარკმელთან ლამაზი არყის ხე,
არყის ხე, ასე რომ უყვარდა ლენინს.



ხუტა ბერულავა

## ვლადიმერ ლენინ

დასაბამიდან ამგვარად ხდება:
ადამიანი როდესაც კვდება,
ორი თარიღი დარჩება საფლავს:
ერთი აღნიშნავს მის დაბადებას,
მეორე — მისი სიკვდილის ამბავს.

დასაბამიდან ამგვარად ხდება.
შენ კი... სიცოცხლის დიად თავდებად
ერთი თარიღი გარგუნა ბედმა,
რადგან სიკვდილი
შენს დაბადებას
გვერდით დადგომას ვერ გაუბედავს!



ალექსანდრე აბაშელი

## ლენინის გული

ჩემი ქვეყანა დგას ჩემ წინაშე,
როგორც ზღაპარი შემონახული.
თითქოს ელვარე ოქროს წვიმაში
აყვავებული ქუხს გაზაფხული.

მე, ამ ქუხილის სმენით გართული,
მომავლისაკენ რომ ვიყურები, —
ვარსკვლავებისკენ ჩანს ამართული
ლაჟვარდოვანი საფეხურები.

და თვალშეუდგამ მწვერვალის თავზე
მოჩანს მშვენება ჯერ არნახული, —
გმირული შრომის ნაყოფით სავსე
კაცობრიობის დიდი ზაფხული.

მაგრამ მე ვამბობ, კაცი პატარა,
რომ იმ მწვერვალზე უფრო მაღლა ვარ,
რადგან არწივის ფრთებმა მატარა,
რადგან სამშობლოს დროშას ვახლავარ;

რადგან ბრძოლათა მღელვარე ზღვაში
მე განვიცადე სიამე სრული,
მით, რომ ვცხოვრობდი ამქვეყნად მაშინ,
როცა ფეთქავდა ლენინის გული.

მორის ფოცხიშვილი

## ლენინ, შენა ხარ ეს გაზაფხული

გადაპენტილან თეთრად ტყემლები,
ირგვლივ ფუტკრები ფერხულს უვლიან.
დგას აპრილი და ალვის ხეებით
წერს ჩვენს მიწაზე —
გაზაფხულია!
ლენინ, შენა ხარ ეს გაზაფხული,
ეს აღმაფრენა, ეს ახხივება...
ყველა სიამე და სიხარული
შენმიერია, შენგან იწყება.
ქუჩა ივსება ია-იებით,
იბადრებიან კვირტნი მზებურად,
ჩვენი ქუჩებიც, ჩვენი მინდვრებიც
ამ გულებივით ამღერებულან.
ლენინ, შენა ხარ ეს ამღერება,
აქ თუ მღერიან, შენზე მღერიან,
და ყველა ჩვენი ბედნიერება
შენგან იწყება, შენმიერია.
გადაპენტილან თეთრად ტყემლები,
ირგვლივ ფუტკრები ფერხულს უვლიან,
დგას აპრილი და ალვის ხეებით
წერს ამ მიწაზე —
გაზაფხულია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ულიანოვების ოჯახის ქალები

ვ. ი. ლენინის მხარდამხარ იბრძოდნენ, მისი თანამებრძოლნი, თანამოაზრენი, თანაშემწენი და უახლოესი მეგობრები იყვნენ მარია ალექსანდრეს ასული ულიანოვა — ვ. ი. ლენინის დედა, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია — ვ. ი. ლენინის მეუღლე, ანა, ოლღა და მარია ულიანოვები — ვ. ი. ლენინის დები.

მარია ალექსანდრეს ასული ულიანოვა ვ. ი. ლენინის დედა, თავისი შვილების კარგი აღმზრდელი, ამავე დროს მათი თანამოაზრე და კეთილის მრჩეველი იყო. მშვიდი, მტკიცე, მხიარული და ალერსიანი, დიდად ნიჭიერი, მუსიკის და უცხო ენების მცოდნე, რომელსაც არ იტაცებდა მორთულობა, მოკაზმულობა, მთელი სერიოზულობით და გულისხმიერებით ეკიდებოდა შვილების აღზრდას.

ანა ილიას ასული ულიანოვა იგონებს: „ერთსულოვანი, შეხმატკბილებული იყო ჩვენი ოჯახი. ვცხოვრობდით მოკრძალებულად. მთელი ჩვენი სარჩო-საბადებელი მამის ხელფასი იყო. დედა მხოლოდ დიდი მომჭირნეობით ახერხებდა, რომ ოჯახს თავი გაეტანა. მაგრამ რაც აუცილებელი იყო, ბავშვებს მაინც არ გვაკლდა, სულიერ მოთხოვნილებებსაც შეძლებისამებრ ვიკმაყოფილებდით".

ულიანოვების ოჯახის ქალები ვ. ი. ლენინთან ერთად რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ ეწეოდნენ მარქსიზმის იდეების პროპაგანდას, რაზმავდნენ ადამიანებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ქმნიდნენ წრეებს და კომიტეტებს, აწყობდნენ გაფიცვებს, ცხოვრობდნენ მორიგი დაპატიმრებისა და ჩხრეკის მოლოდინით, ციხეებში ეუფლებოდნენ მარქსისტულ თეორიას, მოთმინებით იხდიდნენ სასჯელს, რათა ციხიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ გაეჩაღებინათ არალეგალური რევოლუციური მუშაობა, რისთვისაც მათ ისევ ციხეში ყოფნა ელოდათ. მათ მტკიცედ სწამდათ ვ. ი. ლენინის საქმის უკვდავება, ხედავდნენ, რომ, თუმცა პარტიულ ორგანიზაციებს არბევდნენ, მაინც იზრდებოდა მუშათა მოძრაობა, იწრთობოდნენ და მტკიცდებოდნენ, ვ. ი. ლენინის გარშემო ირაზმებოდნენ პარტიული კადრები.

ულიანოვების ოჯახის ქალებმა ვ. ი. ლენინთან, რუსეთის მუშათა კლასთან ერთად განვლეს ბრძოლისა და შრომის დიდებული გზა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინდა. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კი ისინი ვ. ი. ლენინთან ერთად აშენებდნენ ახალ საზოგადოებას.

ცნობილია, რომ ძმებსა და დებს შორის მარია ილიას ასულს ყველაზე მეტად ვალოდია უყვარდა, ცდილობდა დამსგავსებოდა მას, სწავლობდა მისგან, ეხმარებოდა და ეს არაჩვეულებრივი სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. ვ. ი. ლენინი მარიას შინაურობაში მანიაშას, სიყვარულით კი მიმოზას ეძახდა. მარია ბავშვობაში სუსტი და ნაზი აგებულების გოგონა იყო, ვ. ი. ლენინმა ბავშვობიდან დიდი გავლენა მოახდინა მარიაზე. ის მაშინაც კი ზრუნავდა მისი ჯანმრთელობისათვის, როდესაც ჩაფლული იყო რევოლუციურ მოძრაობაში. 1894 წლის დეკემბერში ლენინი თავის დას სწერს: „როგორ არის შენი ჯანმრთელობის საქმე, მანიაშა? საჭიროა თავს ძალა დაატანო და ყოველდღე ორი საათი ისეირნო".

ვ. ი. ლენინის პატიმრობის წლებში მარია ილიას ასული კიდევ უფრო დაუახლოვდა რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატებს, ის ქმედითს დახმარებას უწევდა ვლადიმერ ილიჩს ციხესა და გადასახლებაში, ზრუნავდა მისთვის. 1900 წლის თებერვალში ვ. ი. ლენინი შორეული ციმბირის გადასახლებიდან დაბრუნდა და რამდენიმე დღე პოდოლსკში, ოჯახურ გარემოში დაჰყო.

გადასახლებიდან დაბრუნებული ვ. ი. ლენინი შეუდგა პარტიის შექმნის გეგმის განხორციელებას. მარია ილიას ასული მას დიდად ეხმარებოდა. 1900-1903 წლებში მარია საზღვარგარეთის ორგანიზაციების მთავარი მეკავშირეა. პარტიული ორგანიზაციები მისი მეშვეობით იღებდნენ ლენინის დირექტივებს. მარიას საშუალებით ვ. ი. ლენინი აწარმოებდა მოლაპარაკებას გამომცემლობებთან წიგნების თარგმნისა და გამოცემის თაობაზე.

მარია ილიას ასული ჟანდარმერიის გაძლიერებული დევნის გამო იძულებული გახდა წასულიყო ჟენევაში ვ. ი. ლენინთან. აქ ის ეხმარებოდა ლენინს ეწარმოებინა მიმოწერა პარიზისა და რუსეთის პარტიულ ჯგუფებთან. 1905 წლის ბოლოს ის სამშობლოში დაბრუნდა, სადაც ელოდა დევნა, ციხე, მეთვალყურეობა, მაგრამ კვლავ ჩაება პეტერბურგის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში.

მარია 1905 წლის ბოლოს ვასილო-ოსტროვსკის რაიკომის მდივანია. რევოლუციის დამარცხების შემდეგ მთავრობა ეძებდა ვ. ი. ლენინს, რომელიც ამ დროს ფინეთში იმყოფებოდა. მარია არ ტოვებს ძმას უყურადღებოდ და არ წყვეტს მასთან კავშირს, რამდენჯერმე შეხვდა კიდეც. ვლადიმერ ილიჩის რჩევით მარიამ თარგმნა კარლ მარქსის „წერილი კუგელმანს", რომელსაც ვ. ი. ლენინმა გაუკეთა რედაქცია და ბროშურის წინასიტყვაობაც დაწერა. ეს დოკუმენტი უპასუხებდა კონკრეტულ ისტორიულ მდგომარეობას, რომელიც რევოლუციის დამარცხების შემდეგ შეიქმნა რუსეთში.

1908 წელს ვ. ი. ლენინი ლონდონში იმყოფებოდა, სადაც ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში მუშაობდა წიგნზე — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". მას

მატერიალურად ეხმარებოდა მარია, რომელიც მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. მარია ამ დროს ქ. სარატოვში იმყოფებოდა და სარატოვის ბოლშევიკური ორგანიზაციის აქტიური წევრი გახლდათ ანა ილიას ასულთან ერთად; აქ ის დააპატიმრეს და 1912 წელს ვოლოგდაში გადაასახლეს, საიდანაც ვ. ი. ლენინთან კავშირი არ გაუწყვეტია. ვოლოგდაში მარია 1914 წლამდე დარჩა, იქიდან მოსკოვს დაბრუნდა, აღადგინა მოსკოვის ორგანიზაციის კავშირი ვ. ი. ლენინთან, ომის პერიოდში კი ქმედითად ეხმარებოდა ვ. ი. ლენინს ყველა სამუშაოს შესრულებაში.

ამ დროის მიმოწერაში ხშირად ვხვდებით ცნობებს, რომ მარია ვ. ი. ლენინს უგზავნის რუსულ გაზეთებს, ეძებს წიგნის გამომცემლებს.

დიდი წვლილი მიუძღვის მარიას ლენინის წიგნის — „იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის" გამოცემაში. მან მაქსიმ გორკის დახმარებით შესძლო იმპერიალისტური ომის მძიმე წლებში გამოეცა რუსეთში ვ. ი. ლენინის ეს შრომა და ძმისთვის (რომელიც



მარია ალექსანდრეს ასული და
მარია ილიას ასული ულიანოვები



მარია ალექსანდრეს ასული
და ანა ილიას ასული ულიანოვები

მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა ემიგრაციაში) გადაეგზავნა ფული.

თებერვლის რევოლუციამ გადასახლებიდან გაათავისუფლა ანა ილიას ასული, შესაძლებელი გახდა ვ. ი. ლენინის დაბრუნება რუსეთში, ხდებოდა ბოლშევიკების მუშაობის ლეგალიზაცია.

ანა ულიანოვა-ელიზაროვა და მარია ულიანოვა შეიყვანეს რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროში. მარტში გაფართოვდა გაზეთ „პრავდის" რედაქცია და აქ მუშაობა დაიწყო მარია ილიას ასულმა ულიანოვამ.

ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა „პრავდას". და-ძმას პირველად მოუხდათ ერთად მუშაობა. თუ წინათ მარია ვ. ი. ლენინის წიგნებისათვის აგროვებდა მასალებს, უგზავნიდა მას ყველაფერს, რასაც კი ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, აცნობდა პარტიასა და ქვეყანაში შექმნილ ამბებს, ეძებდა და პოულობდა გამომცემლებსა და სამუშაოს, ახლა ისინი ერთად ისხდნენ და ამზადებდნენ ბოლშევიკურ გაზეთს. მარია გახარებული იყო, რომ ხედავდა ძმას სამუშაოზე, სიყვარულით ადევნებდა თვალყურს მის მოქმედებას. მძიმე დრო იყო... მარიას აშინებდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მდგომარეობა, არასოდეს არ ტოვებდა მას უყურადღებოდ. იგრძნობოდა დაძაბულობა, 1917 წლის ივნისში იუნკერებმა დაარბიეს გაზეთ „პრავდის" შენობა, პარტიის VI ყრილობის მუშაობის დღეებში განსაკუთრებით გაიზარდა მარია ილიას ასულის ავტორიტეტი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მას რეკომენდაცია მისცა პეტროგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციიდან დამფუძნებელი კრების შემადგენლობაში შესასვლელად.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაზეთ „პრავდის" რედაქციაში მუშაობის ნორმალური პირობები შეიქმნა. 1918 წლის მარტში საბჭოთა მთავრობა მოსკოვში გადმოვიდა, გაზეთ „პრავდის" რედაქციაც მოსკოვში სასტუმრო „დრეზდენში" დაბინავდა. მარია ილიას ასული კრემლში დასახლდა თავისი ძმის ოჯახთან ერთად. ლ. ა. ფოტიევა, რომელიც წლების განმავლობაში მოწმე იყო ვ. ი. ლენინის და მარია ილიას ასულის ურთიერთობისა, წერდა: „მას ის უსაზღვროდ უყვარდა და იყო მისი უახლოესი მეგობარი... მარია ილიას ასული მიამბობდა, თუ როგორ ზრუნავდა ვლადიმერ ილიჩი მისთვის; ნესტიან დღეებში ამოწმებდა, ეცვა თუ არ მას კალოშები, თუ მოწყენილს ხედავდა, ეკითხებოდა ძალიან ხომ არ დაიღალეო".

მარია ილიას ასულმა კარგად იცოდა ოჯახში მყუდროების შექმნა, იცოდა ვ. ი. ლენინის ჩვევები, ცდილობდა ყველაფერი ისე მოეწყო, რომ ძმას კარგად დაესვენა, ემუშავა. როდესაც ვ. ი. ლენინი ისვენებდა, მარია საქმიანობდა, წერდა სტატიებს, ამუშავებდა კორესპონდენციებს, კითხულობდა წერილებს და უპასუხებდა მკითხველთა შეკითხვებს. როდესაც 1918 წლის 30 აგვისტოს ესერმა-ტერორისტმა ქალმა დაჭრა ვ. ი. ლენინი, მარიას თავისთავისთვის ვერ ეპატიებინა, რომ იმ მომენტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის გვერდით არ იყო, ამბობდა, მაშინ ეს არ მოხდებოდაო.

შემონახულია დოკუმენტი — მოსკოვის საგანგებო კომისიის მიერ 1922 წლის 25 თებერვალს გაცემული მოწმობა:

...„ნება დაერთოს მოქალაქე მ. ი. ულიანოვას ატაროს და იქონიოს ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი № 259546“.

ავადმყოფობის ბოლო წლებში მარია გვერდიდან არ სცილდებოდა ვ. ი. ლენინს. ის ხშირად იყო ძიძის, დის, მომვლელი ქალის როლში, ექიმებთან ერთად მორიგეობდა მის საწოლთან.

ვ. ი. ლენინის ავადმყოფობა ხალხის, პარტიის ტკივილი იყო.

ლენინის ავადმყოფობის დღეებში გაიხსნა რკპ(ბ) XII ყრილობა. ყრილობა თანაგრძნობის წერილს უგზავნის ნ. კ. კრუპსკაიას და მ. ი. ულიანოვას და სთხოვს მათ, ახსოვდეთ, რომ ამ მძიმე დღეებში პარტია მათთან არის.

ნ. კ. კრუპსკაია, როგორც ვ. ი. ლენინის ღირსეული მეუღლე და მეგობარი, ყოველთვის გვერდში ედგა მას. „ჩვენ შევხვდით ერთმანეთს როგორც უკვე ჩამოყალიბებული რევოლუციონერი მარქსისტები, ამან თავისი დაღი დაასვა ჩვენს ერთად ცხოვრებასა და მუშაობას,“ — იგონებდა ნ. კ. კრუპსკაია.

ნ. კ. კრუპსკაია ყოველმხრივ ეხმარებოდა ვ. ი. ლენინს კომუნისტური პარტიის შექმნაში, იბრძოდა მისი განმტკიცებისათვის, აქტიურად მონაწილეობდა ოქტომბრის რევოლუციის მომზადებაში, ხელს უწყობდა ბელადს ნაყოფიერ მეცნიერულ და თეორიულ მუშაობაში, თან ახლდა ციმბირის გადასახლებაში. ჯერ კიდევ პეტერბურგში ნ. კ. კრუპსკაიამ საპატიმროში მიიღო ციმბირიდან გამოგზავნილი ვ. ი. ლენინის წერილი. „ქიმიურ წერილში“ ვ. ი. ლენინი თხოვდა, ჩამოდი და ჩემი მეუღლე გახდიო. ნ. კ. კრუპსკაიას სათუთად უყვარდა ვ. ი. ლენინი. მან ნახევრად ხუმრობით ასეთი პასუხი გაუგზავნა: „რაკი ასე გინდა, გავხდები შენი ცოლი“. ნ. კ. კრუპსკაია ვ. ი. ლენინთან ერთად იმყოფებოდა საზღვარგარეთ — ემიგრაციაში. ის გაზეთ „ისკრის“ რედაქციის მდივანი იყო, თანამშრომლობდა „ვპერიოდსა“ და „პროლეტარის“ რედაქციებში. ნ. კ. კრუპსკაია ვ. ი. ლენინის დავალებით ხელმძღვანელობდა იმ მიმოწერას, რომელსაც აწარმოებდა „ისკრის“ რედაქცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან 1900-1903 წლებში „ისკრის“ ბეჭდვისა და გავრცელების თაობაზე.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ულიანოვების ოჯახის ქალებს, დებს და მეუღლეს — ანას, მარიამს და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ფარხმალი არ დაუყრიათ, ისინი ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ ლენინის პრინციპებით.

**თამარ ცხვედიანი,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# დაუვიწყარი შეხვედრები

დროის დინებას მეხსიერებიდან ბევრი რამ მიაქვს. მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში არის დღეები და წუთები, რომლებიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ ავიწყდება, ისე ღრმად და შთამბეჭდავად ახსოვს, ,თითქოს ეს ყველაფერი გუშინ მომხდარიყოს და არა შორეულ წარსულში.

ვ. ი. ლენინთან შეხვედრებს, მასთან ურთიერთობას, კრებებსა და მიტინგებზე მის გამოსვლებს სიამაყის გრძნობით იხსენიებენ ქართველი ქალები, რომელთაც მისი ნახვის ბედნიერება ხვდათ წილად. ისინი ერთთავად აღნიშნავენ ილიჩის ფართო ერუდიციას, ტალანტს, ორგანიზაციის დიდ ნიჭს, თავმდაბლობას, გულისხმიერებას, უბრალოებასა და სხვა ღირსებებს.

რუსუდან ნიკოლოზის ასულმა ნიკოლაძემ, როგორც თვითონ მოგვითხრობს, ლენინი „ისკრის“ სტამბის ასოთამწყობის დალმატ გალდავას მეშვეობით გაიცნო. ვ. ი. ლენინი ხშირად დადიოდა სტამბაში და პირადი ურთიერთობა ჰქონდა გალდავასთან. ერთხელ რუსუდანი და მისი ძმა გიორგი ესერების მორიგ „ხუთშაბათს“ დაესწრნენ.

„ლენინი, ლენინი მოდის!“ — გაისმა ჩურჩული შეკრებილთა შორის, — წერს თავის მოგონებებში რუსუდან ნიკოლაძე, — და ყველამ პირი მიიბრუნა კარისკენ, სადაც ტანდაბალი, თვალებგაბრწყინებული, მხიარულად მოღიმარი ადამიანი გამოჩნდა. პირველად გაგვიკვირდა... ნუთუ ეს არის „ბრძოლის ღმერთად“ მოვლინებული ლენინი?.. ამ ახლადშემოსულმა კაცმა თავისი მშვიდი, ამაღლებული ხმით და მომცინარი, ვარსკვლავისებურად ანთებული თვალებით ყველა მოწინააღმდეგე პოლემიკოსი, რომ იტყვიან, ორივე ბეჭზე დასცა“.

ჟენევის შემდეგ რუსუდანი ლენინს ხშირად ხვდებოდა რევოლუციურ პეტერბურგში.

რუსუდან ნიკოლაძემ 1909 წელს პეტერბურგში დაამთავრა პედინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, 1913 წელს — პეტერბურგის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი და 1917 წლამდე იქვე, პედინსტიტუტში ასწავლიდა ქიმიას. რევოლუციის დღეებში იგი თავრიდის სასახლეში მუშაობდა ტელეფონის იმ ბუდრუგანაში, რომლითაც ლენინი სარგებლობდა, აგრეთვე არჩევდა ჯარისკაცთა წერილებს გაზეთ „სოლდატსკაია პრავდისათვის“. შემდგომში რუსუდანი გახდა ცნობილი მეცნიერი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

თავრიდის სასახლეში იმხანად რუსუდანთან ერთად მუშაობდა სამი ბესტუჟეველი (ასე ეძახდნენ პეტერბურგის ქალთა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს): რუსუდან სოლომონის ასული მიქელაძე (შემდგომში თეატრალური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი), ანა ილიას ასული ჩხეიძე (შემდგომში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი) და ელენე დავითის ასული ღოღობერიძე (ცნობილი მწერალი და მთარგმნელი), ისინი თავრიდსა და სმოლნში ხშირად ხვდებოდნენ ვ. ი. ლენინს, ასრულებდნენ მის პირად დავალებებს, ისმენდნენ მის გამოსვლებს კრებებსა და მიტინგებზე.

ვ. ი. ლენინთან შეხვედრებს გულთბილად იგონებს ანა ექვთიმეს ასული შარაშიძე. იგი ლენინს პირველად 1905 წელს შეხვდა, პეტერბურგში, ლესგაფტის კურსების შენობაში, იქ სწავლის დროს. 1905 წლის შემოდგომაზე ქართველთა სათვისტომოს გამგეობის წევრებად პეტერბურგში ბოლშევიკები გავიდნენ. მათ მოიწვიეს ვ. ი. ლენინი, რათა წაეკითხა მოხსენება პარტიის გათიშვასთან დაკავშირებით.

„დოცენტმა ი ჯავახიშვილმა ხალისით დაგვითმო უნივერსიტეტში აუდიტორია, რომელიც ადმინისტრაციამ მის სამეცნიერო წრეს გამოუყო, — იგონებს ანა შარაშიძე. — მოხსენების მოლოდინში ყველანი საშინლად ვღელავდით, მაგრამ, აი, დაიწყო ლაპარაკი პარტიის გათიშვაზე და ერთბაშად დავინახეთ, ვიგრძენით მისი სილამაზე, სილამაზე გენიოსისა, რომლის თვალებიც, ხან მრისხანებით ალსავსე და ხანაც დამცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავი, სულში ხწვდებოდა მსმენელს. მისი ბაგე უბრალო, ყველასათვის გასაგები გამოთქმებით გადმოგვცემდა დიდ ჭეშმარიტებას, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომი და გასაგები ხდებოდა".

რუსუდანი და მისი მეგობარი ელენე ქიქოძე ხშირად დადიოდნენ ბოლშევიკური გაზეთის კორექტორთან — პეტრე ივანეს ძე ქავთარაძესთან, რომელიც ხვდებოდა ლენინს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლენინს თბილისიდან მოსკოვს დაბრუნებული აბელ ენუქიძისთვის უკითხავს, პიოტრ ივანოვიჩი და ის ორი ქართველი ქალიშვილი ჩვენს მხარეზე არიან თუ ჩვენს წინააღმდეგო.

1921 წლის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების IX ყრილობის დამთავრების შემდეგ აბელ ენუქიძის დახმარებით მოეწყო საქართველოს დელეგატთა შეხვედრა ვ. ი. ლენინთან. „ვ. ი. ლენინი მეტად დატვირთული იყო პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმეებით, — აღნიშნავს თავის მოგონებებში ფ. გეგეშიძე, — მაგრამ მაინც გამონახა დრო ჩვენი მიღებისათვის, გვესაუბრა უბრალოდ, მშობლიური სიყვარულით".

რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე ოლღა სიმონის ასული პლიევა 1920 წელს მონაწილეობდა სრულიად რუსეთის ქალთა ყრილობის მუშაობაში.

1920 წლის 20 ოქტომბერს წითელ მოედანზე რევოლუციონერ ქალს ინესა არმანდს ასაფლავებდნენ. კრემლის ჭიშკრიდან გამოვიდა ეტლი, რომელშიც ლენინი იჯდა. ვლადიმერ ილიას ძე დუმილით იდგა გარდაცვლილი ამხანაგის კუბოსთან, „მასში მე დავინახე — იგონებს ოლღა, — ლენინის ერთ-ერთი დამახასითებელი თვისება — მგრძნობიარე, გულისხმიერი დამოკიდებულება ამხანაგისადმი. თუმცა დიდი სახელმწიფოებრივი სამუშაოებით იყო დაკავებული, მაინც გამონახა დრო, რომ უკანასკნელი ვალი მოეხადა ამხანაგის ცხედართან".

ვ. ი. ლენინთან შეხვედრას გულთბილად იგონებს კამოს და, რევოლუციონერი ჯავაირა ხუტულაშვილი. ვ. ი. ლენინი მას კამომ გააცნო.

„1920 წელს, — წერს იგი, — თავის ბინაში ვნახე ვლადიმერ ილიას ძე. იქვე გავიცანი კრუპსკაიაც. მათთან კამომ მიმიყვანა. კამო ხშირად დადიოდა მათ სახლში და ვლადიმერ ილიას ძე განსაკუთრებულ სიმპათიას გრძნობდა მის მიმართ.

ისე გულთბილად მიმიღეს იმ ოჯახში, ისე არაჩვეულებრივად უბრალო იყო ვლადიმერ ილიჩი, რომ გაოცებული დავრჩი. დრო სწრაფად გადიოდა და არ მჯეროდა, რომ ასე უბრალოდ ვესაუბრებოდი დიდ ლენინს".

ეს შეხვედრები დაუვიწყარ მოგონებად დარჩა ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლ ქალთა გულებში.

მერი გოცირიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ბესტუჟეველები

1878 წლის 20 ოქტომბერს პეტერბურგში გაიხსნა ქალთა უმაღლესი კურსები. რუსეთის კულტურის ისტორიაში ეს კურსები მისი ოფიციალური დირექტორის — რუსეთის ისტორიის პროფესორის, აკადემიკოს კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ბესტუჟევ-რიუმინის (1829-1897 წწ.) სახელით შევიდა. ბესტუჟევი ცნობილი დეკაბრისტის ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბესტუჟევ-მარლინსკის ძმისწული იყო.

ბესტუჟევის უმაღლესი კურსები ქალთა პირველ უნივერსიტეტად ითვლებოდა რევოლუციამდელ რუსეთში. მას ორი ფაკულტეტი (ისტორიულ-ფილოლოგიური, საბუნებისმეტყველო) და რამდენიმე განყოფილება ჰქონდა. თავისი არსებობის 40 წლის (1878-1918 წწ.) მანძილზე, ამ სასწავლებელმა ქვეყანას მისცა ასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ქალი. ბევრი კურსდამთავრებული შემდეგ ლენინური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე გახდა. მათ შორის: ნ. კ. კრუპსკაია, ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვა, კ. ნ. სამოილოვა, პ. ფ. კუდელი, ლ. ა. ფოტიევა, ბულგარეთის კომპარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი ნ. ბლაგოევა და სხვანი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ნ. კ. კრუპსკაია მათემატიკის განყოფილებაზე სწავლობდა, მაგრამ რეგულარულად ესწრებოდა პლატონოვის (ისტორიაში), ფედენსკის (ფსიქოლოგიაში) ლექციებს.

დიდი რუსი მეცნიერი ი. ნ. სეჩენოვი ბესტუჟევის კურსებს ქალთა უმაღლესი განათლების განთიადს უწოდებდა.

რუსი ხალხისა და მისი მოწინავე, პროგრესული ინტელიგენციის ინტერნაციონალური ბუნებით და დახმარებით შესაძლებელი გახდა, რომ ბესტუჟევის სახელობის ქალთა უმაღლეს კურსებზე რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ერების წარმომადგენლებსაც ესწავლათ. ასე მოხვდნენ ამ კურსებზე — ქართველი ქალებიც: მარიამ მიქელაძე-ორახელაშვილი, ანა ჩირგაძე-შარაშიძე, მარო მარგველაშვილი, ნატალია ქავთარაძე-ელიავა (ცნობილი ბოლშევიკი ს. ქავთარაძის და), თამარ შარაშიძე-ქარცივაძე, ივლიტა ფურცელაძე (ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანტონ ფურცელაძის ქალიშვილი), თამარ სულხანიშვილ-ბებურიშვილი, მარო ლომინაძე, დები ნინო და თამარ ლომოურები (მწერალ ნიკოლოზ ლომოურის ქალიშვილები), რუსუდან მიქელაძე (აკადემიკოს ირ. მიქელაძის უფროსი და), ანა ჩხეიძე-საყვარელიძე (უნივერსიტეტის პროფესორი-ლიტერატორი), ბარბარე მგელაძე, თამარ მენაბდე-წილოსანი, შუშანა ასათიანი, ნინო ბარათაშვილი-ლორთქიფანიძე, ქეთევან ბაქრაძე-ინგოროყვა, ელენე და ლიზა ლოლობერიძეები (საქართველოს კპ ცკ-ის ყოფილი პირველი მდივნის ლევან ლოლობერიძის დები), ნინო ქადეიშვილი, ნ. ბერიძე, ეკატერინე ბურჯანაძე, თამარ ბურჯანაძე, დები ნინო და ვერა თარხნიშვილები, ლიზა ანთაძე (ცნობილი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ნინო ნაკაშიძის და), ელენე ჩერქეზიშვილი, სოფიო ვაჩნაძე-ქავთარაძე (სერგო ქავთარაძის მეუღლე), მისი და თამარ ვაჩნაძე, მარო ანდრონიკაშვილი, პარასკევა გერსამია-ლამბაშიძე, ნინო აბულაძე, ბაბუცა ფირცხალავა, ვერა გალდავა, ელენე მასხულია, ელენე ხუნდაძე, სალომე ივანეს ასული ბერეჟიანი და სხვები. ისინი შემდგომ სახალხო განათლების მუშაკები, ცნობილი მწერლები, უნივერსიტეტის პროფესორები, საზოგადო მოღვაწეები გახდნენ. ამათგან მარიამ ორახელაშვილი, მარო ლომინაძე, ანა ჩირგაძე, ნატალია ქავთარაძე, მარო მარგველაშვილი, თამარ შარაშიძე, ივლიტა ფურცელაძე, თამარ სულხანიშვილი, ელენე ქიქოძე ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ბოლშევიკები, ან მათი უახლოესი თანამოაზრეები იყვნენ. ისინი შედიოდნენ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში, რომელიც სტუდენტი ახალგაზრდობის საზო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი იყო. ამ სათვისტომოს ხელმძღვანელებმა — პეტრე ქავთარაძემ (სერგო ქავთარაძის უფროსი ძმა), შალვა ელიავამ, ანდრიუშა ბებურიშვილმა, ილია ქიქოძემ, მამია ორახელაშვილმა მოაწყეს სათვისტომოს სტუდენტთა რამდენიმე შეხვედრა ვ. ი. ლენინთან.

ვ. ი. ლენინთან მათი პირველი შეხვედრა 1905 წლის შემოდგომაზე, კონსპირაციულ კრებაზე პეტერბურგში, ცნობილი ლესგაფტის კურსების შენობაში მოეწყო.

„სწორედ ამ ჩვენთვის ძვირფას შენობაში, — წერს ბესტუჟეველი ქალი ა. ე. შარაშიძე, — შევხვდით პირველად რევოლუციის გენიას, დიდ ვ. ი. ლენინს... დანიშნულ დროს, პუნქტუალურად, ლენინი მოვიდა აუდიტორიაში, სადაც საკმაოდ ბევრი სტუდენტი შეკრებილიყო: — ოჰო! — ღიმილით გაიოცა ბელადმა შემოსვლისთანავე, — თქვენ აქ მთელი არმია ყოფილხართ! ყველანი ქართველები ხართ, ამხანაგებო?.. და დაიწყო ლაპარაკი პარტიის გათიშვაზე“.

ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა მენშევიკების ოპორტუნისტული ტაქტიკა პროლეტარიატის ჰეგემონიის, შეიარაღებული აჯანყების უარყოფის გამო და აღნიშნა ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკის სისწორე.

ვ. ი. ლენინთან ქართველი სტუდენტების მეორე შეხვედრა მოეწყო 1906 წლის შემოდგომაზე, სპეციალურად მოწვეულ კონსპირაციულ კრებაზე, ფინეთის ქალაქ ტურიოკში (ამჟამად ზელენოგორსკი), სადაც ლენინმა ქართველი სტუდენტების — შალვა ელიავას და პეტრე ქავთარაძის თხოვნით მოხსენება გააკეთა აგრარულ საკითხზე, რომელიც რსდმპ მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ განსაკუთრებული და საინტერესო საკითხი იყო. ლენინი იქვე შეეხო აგრეთვე ბოლშევიკების ტაქტიკას მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში და სხვ.

ბესტუჟეველი ქართველი ქალები ვ. ი. ლენინის გამოსვლას დაესწრნენ აგრეთვე პეტერბურგში, სახალხო მიტინგზე, გრაფ პანინის სახალხო სახლში, 1906 წ. 9 (22) მაისს, სადაც ლენინი გამოვიდა კარპოვის გვარით მენშევიკებისა და სხვათა წინააღმდეგ, რომლებიც ქადაგებდნენ ბლოკს კადეტებთან.

გააშუქა რა რსდმპ ტაქტიკა სათათბიროს არჩევნებში, ლენინმა წარადგინა რეზოლუცია, რომელიც კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო.

ბესტუჟეველი ქართველი ქალები სტუდენტ ვაჟებთან ერთად, დიდ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ პეტერბურგში, ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ პროკლამაციებს, ვიბორგიდან პეტერბურგში გადმოჰქონდათ არალეგალური ლიტერატურა, ლენინის ზოგიერთი ნაშრომი, გაზეთი „ისკრა“ და საბრძოლო იარაღები.

ქართველი ქალები მონაწილეობდნენ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულ ვ. ი. ლენინთან შეხვედრაში. მათ მოისმინეს ჯავშნოსანი მანქანიდან წარმოთქმული დიდი ლენინის ისტორიული სიტყვა რევოლუციის დიადი მიზნებისა და უახლოესი ამოცანების შესახებ.

ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებული ვ. ი. ლენინის რევოლუციურ საქმიანობას, კერძოდ კი, სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების პირველ ყრილობაზე მის გამოსვლას ეხება რუსუდან მიქელაძე „ბესტუჟეველის მოგონებაში“, სადაც წერს: „ლენინის ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის მერე ბესტუჟეველთა მთელი ჯგრო გავემართეთ ვასილის კუნძულზე, საზღვაო კორპუსში. მახსოვს, რომ ლენინი აპლოდისმენტების და ოვაციის ქუხილში ავიდა კათედრაზე. გვერდით სულ პატარა ბიჭუნა მიჰყვებოდა. მახსოვს, როცა აპლოდისმენტი მიწყნარდა, ლენინმა ბიჭუნა კათედრაზე დააყენა და აუდიტორიას შესთავაზა, მივესალმოთ ამ პატარას, რომელიც მშვენიერ, თავისუფალ ქვეყანაში იცხოვრებსო. ასე მგონია ის ბიჭუნა კოსმონავტი გახდა, ნეტა, თუ არსებობს მისი მოგონება ამის შესახებ“.

ქართველ სტუდენტთა პეტერბურგის სათვისტომო, უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრესთან ერთად, რომელსაც დიდი ივანე ჯავახიშვილი ედგა სათავეში, დიდ საქველმოქმედო მუშაობასაც ეწეოდა. სცენისმოყვარულთა წრეში, რომელიც 1905 წელს შეიქმნა და 1917 წლამდე არსებობდა, შედიოდნენ: პეტრე ქავთარაძე, დავით ჩხეიძე, ალექსანდრე მგალობლიშვილი, შალვა შარაშიძე, ანა ჩირგაძე, რუსუდან ნიკოლაძე, ანიკო ჩხეიძე, გიორგი ნიკოლაძე, ელენე ღოღობერიძე, სიმონ მდივანი და ბევრი სხვა. მათი დადგმები დიდად პოპულარული იყო. სტუდენტთა სამეცნიერო წრეში კითხულობდნენ ლექციებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ქართული და რუსული ლიტერატურის სიახლეებზე. სცენისმოყვარულთა შემოსავლის ნაწილი ხელმოკლე სტუდენტებს ხმარდებოდა, ნაწილი კი — არალეგალურად მომუშავე რევოლუციონერებს.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ბესტუჟეველმა კურსდამთავრებულმა ქართველმა ქალებმა თავი მოიყარეს თბილისში ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში, რომლის დამაარსებელი ქალთა განათლების დიდი პატრიოტი და დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი იყო.

რუსეთში ქალთა უმაღლესი სასწავლებელი XIX საუკუნის 70-იან წლამდე არ არსებობდა. „იმ დროს, — წერს ნ. კ. კრუპსკაია, — ქალებს მეფე-დედოფლის განკარგულებით არც უნივერსიტეტში იღებდნენ და არც რომელიმე სხვა უმაღლეს სასწავლებელში. „ქალმა კი არ უნდა ისწავლოს, არამედ შინ დაჯდეს და ქმარშვილს მოუაროსო“. ამიტომ უმაღლეს განათლებას მოწყურებული ზოგიერთი ქალი საზღვარგარეთ, ციურიხში გასვლას ახერხებდა და იქ იძენდა განათლებას. მეტად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ციურიხში იმ დროს ცხოვრობდნენ პარიზის კომუნის მონაწილენი, იქვე მოქმედებდა I ინტერნაციონალის რუსული სექციაც, რომელიც დიდ იდეურ გავლენას ახდენდა რუსეთიდან ჩამოსულ მოსწავლე-ახალგაზრდობაზე. ყოველივე ეს, და თვით რუსეთში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის გაძლიერება, მეფის მთავრობას აიძულებდა ნება დაერთო გახსნილიყო ქალთა უმაღლესი კურსები მხოლოდ საუნივერსიტეტო ქალაქებში, რათა შესძლებოდა მათზე თვალყურის დევნება.

ამიტომაც 1872 წელს პეტერბურგში გაიხსნა ქალთა უმაღლესი სამედიცინო კურსები, ხოლო 1878 წელს მოწინავე პროგრესული ინტელიგენციის ჯგუფმა, პროფ. ა. ნ. ბეკეტოვის მეთაურობით, დააარსა საუნივერსიტეტო გეგმაზე აგებული ქალთა უმაღლესი კურსები, რომელიც ბესტუჟევის სახელით არის ცნობილი. ეს კურსები მხოლოდ კერძო პირთა შემოწირულებითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით მოსწავლეთა სახსრებით არსებობდა. ამდენად, მეფის მთავრობა ვარაუდობდა, რომ ქალთა კურსები დიდხანს ვერ იარსებებდა და მალე დაიხურებოდა, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. კურსების მსმენელთა რიცხვი 1885 წელს 254-დან 785-მდე გაიზარდა, ხოლო 1914 წელს კურსებზე — 6.996 მსმენელი სწავლობდა.

საყურადღებოა, რომ 1913 წლამდე კურსების დამთავრება მის მსმენელებს არავითარ იურიდიულ უფლებას არ ანიჭებდა თანამდებობის მისაღებად. მაგრამ ბესტუჟეველი ქალები მაინც დიდი მონდომებით სწავლობდნენ. გამოჩენილი რუსი მეცნიერი ალექსი ევგრაფის ძე ფავორსკი, რომელიც კურსებზე კითხულობდა ლექციებს ორგანულ ქიმიაში, მას უნივერსიტეტისაგან არ განასხვავებდა. 1913 წელს კურსდამთავრებულებმა მიიღეს ქალთა გიმნაზიაში მასწავლებლობის უფლება.

ქვეყანაში ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობითა და ბესტუჟევის ქალთა კურსებზე მსმენელთა კონტიგენტის სწრაფი ზრდით შეშფოთებულმა მეფის მთავრობამ, 1886 წელს შეწყვიტა კურსებზე მსმენელთა მიღება, ხოლო შემდეგ დახურა ქალთა ყველა უმაღლესი კურსები. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, მეფის მთავრობა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა დაპატიმრებასა და ჯარში გაგზავნასაც არ ერიდებოდა. მხოლოდ ქვეყნის პროგრესული ძალების ხანგრძლივი და დაჟინებითი მოთხოვნით მოხერხდა 1889 წელს კვლავ განახლებულიყო სწავლება ბესტუჟევის ქალთა კურსებზე.

ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსები, ცხადია, პოპულარული იყო. ამ კურსებზე ხომ პროგრესულად მოაზროვნე ცნობილი მეცნიერები მუშაობდნენ. ესენი იყვნენ: დ. ი. მენდელეევი, ა. მ. ბუტლეროვი, ნ. ნ. ბეკეტოვი, ა. ე. ფავორსკი, ი. ბოდუენ დე კურტენე, დ. ნ. ოვსიანიკოვ-კულტიკოვსკი, ნ. ე. ვედენსკი, ა. ი. ვედენსკი, ი. მ. სეჩენოვი, ო. ფ. მილერი, ი. ა. პოკროვსკი, ე. ვ. ტარლე და სხვანი. ისინი ლექციებს და სემინარულ მეცადინეობებს ატარებდნენ ქიმიაში, ბოტანიკაში, ფიზიოლოგიაში, გეოგრაფიაში, ფიზიკაში, მათემატიკაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, კავკასიურ ენებში, ისტორიაში, პოლიტეკონომიაში, ფილოსოფიაში და სხვა საგნებში, ფართოდ იყენებდნენ რა სწავლების პროგრესულ მეთოდებს, მსმენელებს უნერგავდნენ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს.

1918 წელს კურსებმა დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა და უნივერსიტეტს შეუერთდა.

კურსების მსმენელები ცოდნის მიღებასთან ერთად ეცნობოდნენ აგრეთვე სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეებს, სწვდებოდნენ მის რევოლუციურ არსს, პრაქტიკულად მონაწილეობდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში.

**დ. შავდია**, დოცენტი.

სულეიმან რუსთამი,
აზერბაიჯანის სახალხო პოეტი,
სოციალისტური შრომის გმირი.

# სიყვარულის სიმღერები

## პირველი სიყვარული

ტრფობას აღვიძებს გაზაფხულზე
ირგვლივ სიმწვანე,
თან სიტკბო იცის სიყვარულმა
და თან სიმწარე.

პირველ სიყვარულს სხვა ძალა აქვს,
ძალა მარადი.
მისი ჭრილობა კაცს გაგყვება
კუბოს კარამდი.

ო, არ იფიქრო, მოწყალების
ვიყო მსურველი,
და ან დაჰკრავდეს ჩემს სიმღერას
დარდის სურნელი.

ტანჯვის ისრები გულს გამერჭოს,
თუნდაც ურიცხვი...
ოღონდ ვიტანჯო
ჭეშმარიტი სიყვარულისთვის!

უსიყვარულოდ რაა ვარდი,
შენ, გულო ჩემო,
რა ხარ, ტრფობის თუ არ გწვავს დარდი,
შენ, გულო ჩემო,

მე სიყვარულის
სამუდამოდ გამყვება გემო,
ჩემს სისხლში მუდამ დუღილია,
შენ, გულო ჩემო.

როგორც კი გულში ტრფიალების
ავინთე კვარი,
მომიკაკუნა განშორებამ
მაშინვე კარი.

მე უკვე მოვკვდი.
სამუდამოდ სიკვდილს დავნებდი.
არ არსებობენ უკვე ჩემთვის
ლამაზმანები.

ხანმოკლე იყო ტრფობა ჩვენი.
სუსხმა ზამთრისამ
მაისის ვარდი
დააჭკნო და ფეხქვეშ გასრისა.
და ახლა გული დამზრალი მაქვს,
არ მაქვს გამთბარი,
რაღას მიშველის მე, გულდაჭრილს,
ცივი ზამთარი?

* * *

ბევრი სიმღერა,
უამრავი ჰანგი მსმენია,
არ დამრჩენია ერთი ჰანგიც,
მსწრაფლ გამფრენია.
მხოლოდ შენი ხმა,
ო, შენი ხმა, როგორც ალერსი,
არ მავიწყდება,
საამურად ყურში ჩამესმის.
ჭირის წუთებში,
გასაჭირის მძიმე წუთებში
შენს წყნარ სიტყვებში ვპოვე შვება,
ვპოვე ნუგეში.
მე ყველაფერი:
გზად მტირალი ტირიფის ჩრდილი,
ტალღის შეხება და ფოთლების
ამბორი ტკბილი
მახსოვს, სულ მახსოვს
ნეტარების ზღაპრულის მსგავსი,
მახსოვს და ვიცი მე ამ ხსოვნის
ყადრი და ფასი.
თმა გიღელავდა აბრეშუმად,
შრიალა ფარჩად,
ამ თმის სურნელი ჩემს თითებზე
აქამდე დარჩა.
გთხოვ მომისმინო,
მომისმინო სულ ერთი წამით,
სულ არაფერი დაშავდება,
მერწმუნე ამით.
თუკი შენი მზე არ მანათებს
და არ მაშუქებს,
გულისტკივილი არ მასვენებს
და სულ მაწუხებს.
თუმცა სიზმარში, სულ სიზმარში
ვხედავ შენს სახეს, —
ვით ლექსს, ტუჩები სულ ბუტბუტებს
შენს ძვირფას სახელს.

თარგმნა
ალექსანდრე ბეგაშვილმა

# „ფიქრებისა ჩემის ნავსაყუდელო, მამულო ჩემო!"

ხალიდა გასილოვა,
ჟურნალ „აზერბაიჯან გადინის"
მთავარი რედაქტორი.

საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქის შუაგულში აღმართულია ქანდაკება განთავისუფლებული აზერბაიჯანელი ქალისა, რომელიც იხსნის ჩადრს — მონობის შავ სიმბოლოს. ეს ქანდაკება — იშვიათი თავისი საზოგადოებრივი აზრით და მკაფიო სიმბოლიკით — განასახიერებს გრანდიოზულ ისტორიულ ცვლილებებს, აზერბაიჯანელი ქალის ბედში ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნამ რომ უზრუნველყო.

60 წელი გვაშორებს 1920 წლის აპრილის დღეს, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა აზერბაიჯანის ბედი. 60 წელი ისტორიის მასშტაბით არცთუ დიდი დროა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკამ საუკუნეთა ტოლფასი გზა განვლო და ჭაღარა აღმოსავლეთის კარიბჭეზე შუქურად აკიაფდა.

დღევანდელი მწვერვალებიდან გონების თვალს რომ ვავლებთ გზას, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს ხალხებმა თავისუფლებისა და ბედნიერების მისაღწევად განვლეს, კიდევ ერთხელ ვგრძნობთ რევოლუციის, კომუნისტური პარტიის გმირულ საქმეთა სიდიადეს.

საუკუნეობით დაბეჩავებულმა აზერბაიჯანელმა ქალებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს სოციალური და რელიგიური ჩაგვრა. ჩვენო მრავალტანჯულო დებო და დედებო, რამდენი თქვენი სიცოცხლე ჩაქრა, რამდენი თქვენი ნათელი, ლამაზი ფიქრი და იმედი ჩაკვდა ჩადრის შავი საფარვლის ქვეშ! ენაჩაგდებულნი შავი აჩრდილივით ცხოვრობდით ოთხკედელშუა ძმების, ქმრებისა და მამებისაგან დაბრიყვებულნი. მე ვამბობ „ცხოვრობდით"-მეთქი, თორემ განა ეს ცხოვრება იყო?! უსამართლო საზოგადოება უგულებელყოფდა თქვენს ჭკუას, თქვენს ნიჭს. მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ოცნებობდით თავისუფალ, ღირსეულ ხვედრზე, საზოგადოებრივ საქმიანობაზე, ელტვოდით სულიერ კულტურას და ცოდნას. ისტორიაში წარმოჩნდებოდნენ ხოლმე კეთილშობილი ქალები, თავიანთი ცხოვრება-მოღვაწეობით რომ იცავდნენ ქალის საზოგადოებრივი თვითდამკვიდრების უფლებას. ჯერ კიდევ ეროვნული ცივილიზაციის გარიჟრაჟზე გამოჩნდა პოეტი ქალი მეხსეთი განჯევი — დიდი ნიზამის, ქალის პიროვნების განთავისუფლების პირველი ქადაგის თანამედროვე. განვლო საუკუნეებმა, და მას გაეხმიანა ხურშიდბაქუ ნათევანი — ეროვნული პოეზიის მეორე კლასიკოსი, გასული საუკუნის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ქალი. მისი თანამემამულენი — აზერბაიჯანის სახელოვანი შვილები მირზა ფათალი ახუნდოვი, ჯალილ მამედყულიზადე, მირზა ალექფერ საბირი სიტყვით და საქმით უწყობდნენ ხელს ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის, ქალის პიროვნების სოციალური და სულიერი განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლას.

გამედ მამედყულიზადე ამ მებრძოლთა რიგებში იყო ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე.

მხოლოდ აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახდა სამართლიანი და ღირსეული ადამიანური არსებობის საუკუნოვანი ოცნება.

ძნელი, ძალზე ძნელი იყო ახალი კულტურის, ახალი სოციალისტური ზნეობის ჩამოყალიბების პროცესი. ცრუმორწმუნეობა, ველური წეს-ჩვეულებები, საუკუნეობით რომ ამკვიდრებდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და კულტის მსახურნი, ჯერ კიდევ მყარად ჰქონდათ გამჯდარი შეგნებაში მოსახლეობის ჩამორჩენილ, უწიგნურ ფენებს. სახიფათო იყო ახალი კულტურის ქადაგთა გზა, რომელიც ხშირად ტრაგიკულად მთავრდებოდა ხოლმე შემორჩენილი შავბნელი ძალების ფანატიკური წინააღმდეგობის გამო. შოვქეთ მამედოვა შეიძლებოდა ფიზიკურად მოესპოთ კიდეც, რევოლუციამდე რომ გაბედა საოპერო სცენაზე გამოსვლა. ამჟამად იგი აზერბაიჯანის კონსერვატორიის პროფესორია. ბევრი ქალის ცხოვრების მაგალითით ჩანს აზერბაიჯანელი ქალის საზოგადოებრივი აღზევება. ერთი მათგანის ასეთი საშურველი ბედი აღწერა აზერბაიჯანის სახალხო პოეტმა სამედ ვურღუნმა („სიტყვა კოლმეურნე ბასტიზე"). მან მკაფიოდ გვიჩვენა ბამბის პლანტაციების გმირის ბასტი ბაგიროვას შრომითი და მოქალაქეობრივი გზა — რიგითი კოლმეურნე, დეპუტატი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი გახდა.

ბასტი და მასთან ერთად ათასობით აზერბაიჯანელი ქალი გავიდა ახალი, თავისუფალი ცხოვრების გზაზე. ახალმა დროებამ თავისი ახალი გმირები, ახალი პოეტები შვა.

საგულისხმოა მეორე ქალის — იზეთ ორუჯევას ბედი. შორეულ ოცდაათიან წლებში მან მთავარი გმირის როლი შეასრულა ფილმში „სევილი". (ეს ფილმი ჯაფარ ჯაბარლის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით შეიქმნა). ამჟამად ორუჯევა თვალსაჩინო მეცნიერი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი და აკადემიკოსია.

პირველი აზერბაიჯანელი მსახიობი, პირველი ბალერინა, პირველი მფრინავი...

დიახ, მფრინავიც... ზულეიხა სეიდმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მედოვა, — სახელგანთქმული მარინა რასკოვას თანაპოლკელი, — დიდ სამამულო ომში მამაც საბჭოთა შევარდნებთან ერთად იცავდა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. შემდგომში იგი რესპუბლიკის მინისტრი გახდა, ამჟამადაც პასუხსაგებ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ პარტიზან ალია რუსტამბეკოვას, სნაიპერ ზიბა განიევას, მრავალ სხვათა მხედრული გმირობით... ამ რამდენიმე წლის წინათ მწერალმა იმრან ყასუმოვმა კიდევ ერთი დიდებული ქალის ცხოვრება გაგვაცნო. ამ ქალის ბუნებაში მხედრული გმირობა ბუნებრივად შეერწყა შრომითს მოვალეობას, პატრიოტიზმი — ინტერნაციონალიზმს. ჩვენი მკითხველებისათვის ფართოდ არის ცნობილი მოთხრობა „ფრანგული გობელენი“. მისი ერთ-ერთი პერსონაჟი ჯეირან საფაროვა მოსკოველი მეტრომშენებელია, რომელიც შორეულ ესპანეთში ინტერნაციონალური ბრიგადის რიგებში იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. მისი ბედის კვალს მივყავართ საფრანგეთში, სადაც, როგორც ვარაუდობენ, გმირი ქალი საფრანგეთის წინააღმდეგობის მონაწილე ყოფილა.

აზერბაიჯანელი ქალები თავისუფალი შრომის, საწარმოო, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის აქტიური მონაწილენი გახდნენ. საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულთა თითქმის ნახევარს ქალები შეადგენენ. რესპუბლიკის ექიმთა 52, ხოლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა 60 პროცენტი ქალები არიან. 23 ქალი ქვეყნის სახალხო პარლამენტში — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელია.

თმაჭაღარა მოხუცმა ფრთხილად შემოაღო კარი. მაგიდას ახალგაზრდა ლამაზი ქალი უზის. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალია თახმასიბია. დიდი პატივით ეგებება დეპუტატი მოხუცს, რომელმაც იცის, რომ თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტს, ჭკვიან და განათლებულ, გულისხმიერ ადამიანს ეწვია. ჩვენი ხალხი ხომ მხოლოდ ასეთებს ირჩევს უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად. დეპუტატი რომ ქალია, თანაც ახალგაზრდა, ეს არ აცბუნებს მოსულს. აზერბაიჯანელმა ქალმა უკვე დიდი ხანია მოიპოვა აღიარება და პატივისცემა. ეს პატივისცემა მან ქარხნის ჩარხებთან, ბამბის საკრეფი მანქანის საჭესთან, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკის დარგში მოპოვებული წარმატებებით მოიხვეჭა.

რევოლუციამდელ აზერბაიჯანში მთელი მოსახლეობის 97 პროცენტი უწიგნური იყო. წერა-კითხვის უცოდინართა უდიდეს უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ. ეს ხანა სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. აზერბაიჯანი ამაყობს თავისი ღირსეული ქალებით — მეცნიერებით, შემოქმედებითი მუშაკებით, ინჟინრებით, წარმოების მოწინავეებით. მათ შორის 200-ზე მეტს სოციალისტური შრომის გმირის წოდება აქვს მინიჭებული. მათ შორის ბასტი ბაგიროვა და მისი შრომითი დიდების მემკვიდრე შამამა ჰასანოვა კი ორგზის გმირები არიან.

მთელ რესპუბლიკაში გაითქვეს სახელი საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელებმა — გიზგაით ჯასანოვამ, ვასილი ზახიდოვამ, მინა ნაზიროვამ, ნაფისათ ნოვრუზოვამ, ხურამან აბასოვამ და სხვებმა. რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა ბარდის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ მექანიზატორი ქალის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ტარლან მუსაევას დიდება .518 ტონა „თეთრი ოქრო“ — აი რამდენი ბამბა მოკრიფა მან შარშან!

სამრეწველო საწარმოებს მოედო ზამინა ჰასანოვას, ფარიდა რუსთამოვას, გევხარ ახუნდოვას, ქიუბრა მაჰმუდოვას, ფარიდა ფატულაევას და ხუთწლედის ფრონტებზე მრავალი მათი თანამოსაქმის შრომითი დიდება.

გმირი დედის წოდება და შრომითი დიდება... ეს ქალები დიდი აღტაცების ღირსნი არიან. ცამეტი საბჭოთა ქალიდან, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირისა და გმირი დედის წოდებები აქვთ მინიჭებული, ოთხი აზერბაიჯანში ცხოვრობს.

მოზარდი თაობის — ჩვენი ქვეყნის მომავლის აღზრდაში ღირსეული წვლილი შეიტანეს პედაგოგებმა — სოციალისტური შრომის გმირმა მასიმა ატაკიშიევამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ალია ტახმასიამ, ტაირა ასადოვამ...

რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ ცნობილი გახდნენ ქალები — მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ადილა ნამაზოვა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები ვალიდა ტუტაიუკი, პიუსტა აზიზბეკოვა, ოქუმა ყურბანოვა, რესპუბლიკის სახალხო პოეტი მირვარიდ დილბაზი, პოეტი ნიგიარ რაფიბეილი, პროზაიკოსები აზიზა ჯაფარზადე, ალავია ბაბაევა, მხატვარი მარალ რახმანადე, კომპოზიტორები აღაბაჯა რზაევა, შაფიგა ახუნდოვა და სხვები..

შრომითი წარმატებებისათვის აზერბაიჯანი 10 წელია ზედიზედ ჯილდოვდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამ წარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანეს აზერბაიჯანელმა ქალებმა. 1978 წლის სექტემბერში რესპუბლიკის დედაქალაქი საპატიო ჯილდოთი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. ბაქოს — სახელოვანი რევოლუციური, ინტერნაციონალური, შრომითი ტრადიციების ქალაქის დროშას იგი ჩვენმა საყვარელმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მიაბნია. ეს მოვლენა ყველა ჩვენგანის, მთელი რესპუბლიკის ზეიმად იქცა. ჯილდო გვავალებს კიდევ უფრო მეტი შთაგონებით ვიშრომოთ.

და ახლა, ჩემი ღვიძლი რესპუბლიკის სახელოვანი იუბილის წინ, კვლავ მახსენდება სტრიქონები, საბჭოთა ეპოქის, მეგობრობისა და ძმობის მეხოტბემ სამედ ვურღუნმა, უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალულმა პოეტმა სამშობლოს რომ მიუძღვნა: „ტრფობისა ჩემის ნავსაყუდელო, მამულო ჩემო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინის ახალგაზრდობის წლები



„ჩვენ სხვა გზით ვივლით!“



ულიანოვების ოჯახში უყვარდათ მუსიკა

რიმა ბოჭორიშვილი საქართველოს მხატვართა შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. მან 1952 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი. მას შემდეგ მისი ნამუშევრები ხშირად ამშვენებენ როგორც საკავშირო, ასევე სხვადასხვა ქალაქების სამხატვრო გალერეებს. უკანასკნელ ხანებში მოეწყო რ. ბოჭორიშვილის პერსონალური გამოფენები თბილისში, ქუთაისსა და წყალტუბოში.

რიმა ბოჭორიშვილის შემოქმედება მრავალფეროვანია, როგორც თემატურად და ჟანრობრივად, ასევე გრაფიკული გამოსახვის ხერხებითაც.

მის ადრეულ ნამუშევრებში ასახულია სამამულო ომის მძიმე დღეები. 1942 წლიდან იგი თბილისის დამცველთა საზენიტო არტილერიის პოლკის მოხალისეა, შემდეგ კი მონაწილეობს უკრაინაში სისხლისმღვრელ ბრძოლებში, იცავს დნეპრის ხიდებს.

მხატვარმა თავის ტილოებში შესანიშნავად შესძლო ნანახისა და განცდილის გადმოცემა.

მხატვრის ნამუშევართა სერიას „ლენინის ახალგაზრდობის წლები“ საფუძვლად დაედო ა. ივანსკის წიგნი „ვ. ი. ლენინის ახალგაზრდობის წლები“. ამ ციკლზე მხატვარი რამოდენიმე წელია მუშაობს. ჩანაფიქრი ლინოგრავიურითაა შესრულებული, გადაწყვეტილია თეთრი და შავი ტონებით.

ლაკონიურობა, ნათელი და მკაფიო ფორმა კარგად შეესატყვისება მხატვრის ჩანაფიქრს.



ვალოდია საუბრობს მტვირთავებთან



გიმნაზიის პირველი მოსწავლე



ვალოდია ესაუბრება ამხანაგებს მარქსის თეორიის შესახებ

## მხატვარ რიმა ზოჭორიშვილის ლინოგრავიურები



კამათი მემამულესთან



პირველი პატიმრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდამ ჩაჩანიძე

# იმედის ქისა

მოთხრობა

მხატვარი ლია სვანიძე

უშველებელი, წითელი ავტობუსი რახრახით დაჰქროდა „რიალტოსა“ და „ავენიდას“ შორის. გზას თითქმის მთელი საათნახევარი სჭირდებოდა.

მეშვიდე-მერვე რეისზე მე „რიალტოსთან“ ვჯდებოდი ამ ავტობუსში, მაგრამ ბოლომდე არ მივყვებოდი, სანტა კატალინას პლაჟთან ჩამოვდიოდი და, მერე, საღამომდე, ცხელ სილაში ვკოტრიალობდი. ავტობუსში ყოველთვის სულ წინა მარჯვენა სკამს ვიკავებდი. კაცმა რომ თქვას, მთლად სულ წინა მაინც არ იყო, იქვე გვერდულად კიდევ ერთი სკამი იდგა, იმის იქით კი — მძღოლის პატარა ჯიხური. მძღოლს ჯიხურზე სარიტა მონტიელის დიდი სურათი ჰქონდა აკრული. სურათის ზემოთ, ხის ქანდარაზე ყვითელი თუთიყუში იყო შემოსკუპებული და ახლადშემოსულებს სამ ენაზე — ესპანურად, ფრანგულად და ინგლისურად ესალმებოდა. თანაც, ყოველი სიტყვის წარმოთქმისას, თავს სასაცილოდ იქნევდა; როცა ავტობუსში მგზავრები ახმაურდებოდნენ, თუთიყუში თავს შემართავდა და აკრიახდებოდა:

— ბატონებო, წყნარად, თქვენ ხომ ადამიანები ხართ!

„რიალტოდან“, პირველ გაჩერებაზე ერთი მსუქანი, გაფოფრილი ქალი ამოდიოდა, ამ ჩათქვირებულ დეიდას ხვნეშით ამოჰქონდა ორი დიდი ვედრო, საიდანაც თეთრი, ქათქათა ყველის კვერები მოჩანდა. იგი ზოზინით ჯდებოდა გვერდით სკამზე, კაბაზე გარედან დაკერებული უძირო ჯიბიდან ჭრელ ხილაბანდს ზანტად იღებდა და ოფლიან სახეს გულდაგულ იწმენდდა.

მას ფეხდაფეხ ერთი გამხდარი, კაფანდარა მოხუცი კაცი მოსდევდა ხოლმე. მოხუცი ჩემს გვერდით ჯდებოდა, მსუქანი სინიორას გვერდით კი ადგილს სიმპათიური ქალიშვილი იკავებდა. ამ სინიორიტას წმინდა ესპანური, ეშხიანი სახე ჰქონდა და გაცრეცილ, ცისფერ ხალათში ტანი მოხდენილად ეკვართებოდა. შავ, უძირო თვალებში ყოველთვის სევდა ჰქონდა ჩაგუბებული და, რომ შემოგხედავდა, ტანში გაგცრიდა.

ავტობუსი ნელა მიუყვებოდა სანაპიროს. მარცხნივ ატლანტის ოკეანის დიდრონი დგაფუნა ტალღები ჩანდა. მარჯვნივ — პალმების გრძელი ხეივანი. მერე უკან რჩებოდა სანაპიროცა და ტანკენარი პალმებიც, ჩვენ „ტრიანას“ საფირმო მაღაზიის შენობებს შორის მივქროდით.

„ტრიანა“ ყოველთვის რეკლამაშია ჩაკარგული. მდიდრული ვიტრინები თვალს გტაცებს.

ის ქალიშვილიც, მსუქანი სინიორას გვერდით რომ ჯდებოდა ხოლმე, ხარბად ათვალიერებდა საუცხოო ვიტრინებს.

ერთხელ, კარგად გავიგონე მსუქანმა სინიორამ რომ თქვა; გუშინ „ტრიანაში“ ათასორას პესეტად ქალის საზაფხულო პალტო ვიყიდეო.

ქალიშვილმა ნაღვლიანად გადახედა.

— ეს ხომ ძალიან ძვირია, სინიორა!

— „ტრიანაში“, აბა, იაფად რას იყიდით, სამაგიეროდ კარგი ხარისხისაა. მთელი ოთხი თვე ვაგროვებდი ფულს, ჩემს ქალიშვილს საქორწინო საჩუქრებს ვუმზადებთ.

მერე ვიღაცამ თქვა: მოხუცი ხოსე ორი დღეა არა ჩანსო. იმ ვიღაცას კიდევ სხვაც აჰყვა: ხოსეს ფილტვების ანთება დაემართა და მალე ალბათ ბარგის შეკვრაც მოუწევსო.

ახლა შევამჩნიე, კაფანდარა მოხუცი კაცი, ჩემს გვერდით რომ ჯდებოდა ხოლმე, მართლაც არ ჩანდა. მსუქანი სინიორა საშინლად გაბრაზდა, ღაბაბი ჩამოუვარდა, თვალები აუელვარდა. ყველით სავსე ვედროები ფეხებით გვერდზე გაათრია და ერთი რიხიანად დასჭექა:

— ამას ვინ ბედავს? გრცხვენოდეთ, ხოსე კაცია და არა ინდაურის ჭუკი!

— ინდაურის ჭუკი რა ხელწამოსაკრავი ნახეთ! — დაიძახა ვიღაცამ ჩემს უკან, — მე ფრინველთა დაცვის კომიტეტიდან ვარ და ვაპროტესტებ ასეთ გამოხდომას. ინდაურის ჭუკს ჰყავს დედა, მამა, და, ძმა და ასე შემდეგ. კომიტეტის წევრმა ერთ წამში ამ პატივსაცემი ფრინველის მთელი დინასტია მიმოიხილა.

აყალ-მაყალი დატრიალდა. ავტობუსი სწრაფად გაიყო ორ მტრულ ბანაკად — ადამიანთა მომხრეებად და ფრინველთა ძმაკაცებად თუ მეგობრებად.

სწორედ ამ წუთში, როცა სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, თუთიყუშმა უაღრესად დიდი გონიერება გამოიჩინა და საქმიანად განაცხადა:

— ბატონებო, წყნარად, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ადამიანები ხართ!

ამ პათეტიკურმა განცხადებამ ჭეშმარიტად ფასდაუდებელი ეფექტი მოახდინა, ყველა იმ წამსვე დადუმდა.

ფრინველთა დაცვის კომიტეტის წევრმა ხმამაღლა ჩაახველა:

— დაიხსომეთ, ვინ მოგვიწოდებს გონიერებისაკენ.

ამ სიტყვებზე ფანჯარასთან მჯდარი ცისფერ, გაცრეცილკაბიანი სინიორიტა ჩემკენ შემობრუნდა.

— სინიორ, სასაცილოა არა, ყოველივე ეს?

მე მხრები ავიჩეჩე:

— ერთი რამ ფაქტია: დიდ სკანდალს გადავრჩით. იქნებ აღგვენიშნა ყოველივე ეს. კოქტეილზე გეპატიჟებით, სინიორიტა; სანტა კატალინას პლაჟის ბარში დიდებულ კოქტეილს ამზადებენ.

ქალიშვილმა არ მიპასუხა, ფანჯრის სქელი მინის იქით ჯარისკაცებივით ჩარიგებულ პალმებს მიჩერებოდა. მერე, უფრო გვიან, თავი ზანტად შემოაბრუნა, იმ სქელუა დეიდას გახედა და ჩაილაპარაკა:

— ახ, ცხოვრება, ცხოვრება... ყველაფერი შეიცვალა... ისე შეიცვალა, თითქოს პირველი თავი კერძი უკვე მიგერთვას და მიმტანს ცხვირწინ შეუმჩნევლად მეორე დაედოს... ადამიანი ცივი და უკარება გახდა, თოფივით არის დატენილი, ჩახმახზე თითის გამოკვრა უნდა მხოლოდ და მეტი არაფერი.

— მერე ეს კარგია?

იკითხა სქელუა დეიდამ, ყველით სავსე ვედროებზე რომ იყო გადაფოფინებული.

— საშინელებაა.

ლამაზმა ქალიშვილმა ნაღვლიანი მზერა ჩემკენ გამოაპარა. შავი თვალები ისე შემომანათა, თითქოს დასტურს ჩემგან ელოდა. კრინტიც არ დამიძრავს, თავი კი დავიქნიე. ესეც საკმარისი აღმოჩნდა, მან ოდნავ გაიღიმა. შეიძლება კიდეც მომეჩვენა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მის მოქანცულ სახეზე რაღაც მკრთალი ნაპერწკლის გაელვება მაინც ვიგრძენი.

სანტა კატალინასთან აღარ ჩავსულვარ. სულაც არსად არ მიმეჩქარებოდა. მოგეცათ ლხენა, ზაფხული გახლდათ, დღე სარეცხის თოკივით იყო გაჭიმული, გაგრძელებული და ცხელ ქვიშაზე გვერდების დახრუკვას კიდევ მოვასწრებდი.

იმ გაჩერებაზე ფეხი რომ არ მოვიცვალე, ქალიშვილმა კიდევ შემომხედა. ახლა სახეზე გაკვირვება ჰქონდა აღბეჭდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარდიმანდულად გავხედე, თითქოსდა, ძალიან კარგადაც ვიცოდი, სადაც უნდა ჩამოვსულიყავი. დალოცვილმა, იმ თუთიყუშმაც ქანდარიდან ისე გადმოიჭყიტა, მეგონა საცაა დაიყვირებს-მეთქი: „სინიორ, თქვენ ხომ სანტა კატალინასთან უნდა ჩაბრძანებულიყავით".

ისე კი ძალიან გამიკვირდა, მისი გამამხნევებელი ხმა რომ არ შემომესმა. მადლობის ნიშნად გავუღიმე და მგონი საჩვენებელი თითიც დავუქნიე.

თუთიყუშთან ჩემი დიალოგი ამით დამთავრდა, საბედნიეროდ, უკონფლიქტოდ. „ჰოტელ პალასთან" ქალიშვილმა ფეხი რომ აიჩქარა, მეც წამოვდექი. ის პირველი ჩავიდა და სწორედ საყვავილე ჯიხურთან დადგა.

— სინიორ, თქვენ ხომ ყოველთვის სანტა კატალინასთან ჩადიოდით?! — მითხრა, როდესაც მეც დავადგი ცხელ ასფალტზე ფეხი.

— ამჯერად ასე გადავწყვიტე.

— თქვენ წეღან კოქტეილიახსენეთ. თუ გზა იმისათვის გაიგრძელეთ, რომ მე პატივი მცეთ, უნდა გაგაწბილოთ, ამჟამად არ შემიძლია. დრო მისხლობითა მაქვს აწონილი. ისეთ ადგილზე ვმუშაობ, ნახევარი წუთიც რომ დავიგვიანო, გამომაპანღურებენ, ხომ იცით, ჩვენს დროში რა ძნელია სამსახურის შოვნა.

— ეს საბოლოო პასუხია?

— დაახლოებით, მაგრამ თუ თქვენ ძალიან დიდი სურვილი გაქვთ ის კოქტეილი მაინცდამაინც ჩემთან შესვათ, მობრძანდით საღამოს შვიდ საათზე. ამ ჯიხურთან დაგელოდებით. მაპატიეთ, სინიორ, მიგვიანდება.

პასუხისათვის აღარც დაუცდია. შებრუნდა და ლაზათიანი ტანის რხევით „ჰოტელპალასისაკენ" გაუყვა.

მეც გამოვბრუნდი და, მთელი გზა, „ჰოტელპალასიდან" სანტაკატალინამდე ლარივით გაჭიმული პალმების ხეივანში რომ მიიმართება, ფეხით გამოვიარე. წეღანაც მოგახსენეთ, არსად არ მიმეჩქარებოდა და პლაჟზე ზოზინ-ზოზინით ისე მოვედი, არც კი გამიგია.

* * *

კოქტეილი სანტაკატალინას სკვერში შევსვით. იქიდან რომ გამოვედით, უკვე ბინდი იწყებოდა. მზე ნელა ეშვებოდა სადღაც და, ლუსის იქით, ორ დიდ კუნძულს — ტენერიფესა და გრან კანარიას შორის მოქცეული ატლანტის ოკეანის მცირე მონაკვეთი მშვიდად თვლემდა და უკიდეგანო ლურჯი ზეწარივით გადაჭიმულიყო; ვერც კი იფიქრებდით, თუ მას ოდესმე შეეძლო აეწყვიტა და ბუნებისთვისაც სულ სხვა პეწი და ლაზათი მიეცა.

მაგელანის ძეგლთან რომ მოვედით, შევჩერდით. ჯერ კონჩიტა შეჩერდა და, რასაკვირველია, მეც აღარ მომიცვლია ფეხი.

მზე სპილენძის დიდი სათლივით იდო ოკეანეზე და საცაა ტალღებში უნდა ჩაძირულიყო.

ასე მგონია, მზე როცა ჩადის, ადამიანთა მთელი დღის ცოდვა თან მიაქვს, — თქვა კონჩიტამ ისე, რომ მზერა ოკეანისათვის არ მოუშორებია.

— ბევრია ნეტავ ეს ყოველდღიური ცოდვა?

კონჩიტა შემობრუნდა. გამხდარი თითებით რატომღაც ჩემი ხალათის შუაღილს ჩააფრინდა.

— ძალიან ბევრი, ისე ბევრი, გამკითხველი რომ გამოჩნდეს, ჯოჯოხეთის ერთ დიდ კოცონს ააბდღვიალებდა.

დადიან ადამიანები, ზოგი მძიმედ, ზოგი თითქოსდა მსუბუქად და, ყველას თავისი წილი ცოდვა და დარდი თან დააქვს.

— და მაინც ცხოვრება დარჩა კეკლუცი და მომხიბვლელი.

კონჩიტამ ღილი ნერვულად დაქაჩა:

— ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ მას რომანტიკული ფერები ჩამოშორდა. ჩამოშორდა ის ცისფერი და ალუბლისფერი ტონები, რაც ილუზიებისა და ოცნებების ვრცელ სამყაროს შლიდა.

ცხოვრება ახლა პრაქტიკული გახდა, ცივი და პროზაული, მოსაწყენი...

ერთხელ, იცით რა, ჩემმა დამ ვენესუელიდან თახვის ქურქი გამომიგზავნა. მაშინ ჯერ კიდევ ესპანეთში ვცხოვრობდი, ალხესირასში. ზამთარი იყო და, რასაკვირველია, ქურქით დავდიოდი. სან-



ტამარიას ქუჩაზე ვცხოვრობდი, ქალაქის ბოლოს, კარნეროს კონცხის მხარეს. ერთხელაც ვნახოთ, ღამით უდარდელად მოვაბიჯებ სანაპიროზე. საცაა სანტა მარიასაკენ უნდა ჩავუხვიო, ვიღაც ტიპი წამომეწია, სიგარეტი მთხოვა. არ ვეწევი მეთქი. მაშინ რევოლვერი გულზე მომაბჯინა და ქურქის გახდა მიბრძანა.

ჩვენ სინათლის ქვეშ ვიდექით და, კარგად ვხედავდი მის ალგზნებულ, ვაჟკაცურ სახეს. ისეთი ბიჭი იყო, იტყოდი, რა დედამ შობაო. თვითონაც კარგად მხედავდა...

ქურქი, რასაკვირველია, წაიღო. ერთი სილაც გამაწნა და დამემუქრა: თუ სადმე კრინტი დაგიძრავს, რეგვენ თავს გაგიხვრიტავო.

შინ რომ მოვედი, მთელი ღამე ვტიროდი. ძვირფასი ქურქი კი არა, უფრო ის მიკლავდა გულს, იმ მოსულმა ყმაწვილმა მხოლოდ ქურქი შეამჩნია, მე კი ვლირდი რამედ თუ არა, ამას მისთვის ფასი აღარა ჰქონდა.

— ხედავთ, როგორი ცივი და პრაქტიკული გახდა ქვეყანა!

მე ჩავახველე.

— მაინც არსებობს ერთი რამ — იმედი. როგორც იტყვიან: კაცი იმედით ცხოვრობს.

— ეგ სწორია, — თქვა კონჩიტამ და ჩემი პერანგის ღილს ხელი გაუშვა, — როცა ადამიანი იბადება, თურმე იმედის რამდენიმე თავწაკრული ქისა თან დაჰყვება. შემოაღამდება და იმედის ქისას გახსნის, მისი სავალი გზა იმწამსვე განათდება. ეს რასაკვირველია, მხოლოდ ილუზიაა და თავის მოტყუება, მაგრამ კაცს მაინც ჰგონია, რომ მისი სავალი ნამდვილად განათდა. ცოტას გაივლის და კვლავ დაუღამდება. ახლა მეორე იმედის ქისას შეუხსნის თავს...

— სულ რამდენი ქისაა, ნეტავ?

ვკითხე მე.

კონჩიტა გაბრაზდა.

— ხომ გახსოვთ, რა თქვა იმ თუთიყუშმა „ნუ დაგავიწყდებათ, რომ ადამიანები ხართო". ადამიანის ბედზე ცინიკური ლაპარაკი არ შეიძლება. ბედი და უბედობა კარუსელივით ბრუნავს ჩვენს ირგვლივ და რულეტის ბურთივით ხან ვის ჯიბეში ჩავარდება და ხან კიდევ ვისაში. ერთიცა და მეორეც ადამიანს გაჩენის დღიდან აჩრდილივით თან დასდევს.

მარჯვენა ხელი ბეჭზე დავადე.

— ღმერთმანი, თქვენი გაბრაზება სრულებითაც არ მსურდა... სხვა რამ მინდოდა მეთქვა...

— მაინც რა?

— მითხარით, თუ ოდესმე ყოფილხართ ბედნიერი?

არც კი დაფიქრებულა, ისე თქვა „ არაო" და კოპები შეკრა.

— და მაინც ხომ ცხოვრობთ, დადიხართ, ოცნებობთ.

— ეს იმიტომ, რომ იმედის ერთი ქისა კიდევ დამრჩა. ვენესუელაში ჩემი და ცხოვრობს. მთლად წყალწაღებული არ უნდა იყოს. ცოტა ფულს შევაგროვებ და იქ წავალ, იმედის იმ ბოლო ქისას იქ შევუხსნი თავს.

— ახლა კი ნახვამდის. იმდენი ვიყბედე, ალბათ ჩემზე ცუდი აზრი შეგექმნათ. ნუ დაუჯერებთ პირველ შთაბეჭდილებას, იგი არასოდეს არ არის ზუსტი.

კონჩიტა წავიდა. როცა მაგელანის ძეგლს გვერდი აუარა, ერთხელ კიდევ შემობრუნდა და მერე პატარა ქალაქის ნახევრადჩაბნელებულმა ქუჩამ შთანთქა.

მეც ჩემი გზა მედო წინ. უკვე ორი კვირა ვიდექით ლას პალმასის ნავსადგურში და, მეორე დღეს ზღვაში უნდა გავსულიყავით. მეზღვაურის გზა ხომ განედებითა და გრადუსებით ვერ იზომება.

* * *

ერთი წლის შემდეგ ბედმა ჰავანის ნავსადგურში შეგვაგდო. სანამ ჰავანაში შევიდოდით, ჯერ კიდევ იმ დაწყევლილი ბერმუდის სამკუთხედში რომ გავდიოდით, რადიოგრამა მივიღეთ, კუბიდან ვენესუელაში უნდა წავსულიყავით. ავიღებდით ტვირთს და ჰამბურგისაკენ მოვბრუნდებოდით.

ვენესუელაში ჯერ ნამყოფი არ გახლდით და, ახალი ქვეყნის ხილვა, რასაკვირველია, სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ. მექსიკის ყურედან კარიბის ზღვაში შემოვცურდით და გეზი პუერტო დე ლა კრუსისაკენ ავიღეთ. სანამ პუერტო დე ლა კრუსს მივადგებოდით, კუნძულების მთელი არქიპელაგი გავიარეთ. ხრიოკი, ნამცეცა კუნძულები ფეტვივით ეყარა ლილისფერ წყალში და რაღაც ჯადოსნურ სამყაროს ქმნიდა. ერთი, შედარებით მოზრდილი კუნძული, სწორედ ნავსადგურის წინ უშველებელი, გიგანტური ლოდივით ეგდო ოკეანეში. ამ შიშველ, ხრიოკ მიწის ნაგლეჯზე ორად-ორი ქოხი იდგა. მის აშენებლებს, ეს ორი საცოდაობა, ხელში რაც რომ მოხვდომოდა, იმით გადაეხურათ. რა არ ეყარა წითელი ტალახით შეზელილი კედლების თავზე. წითელი ჯუტის ჰუჭყიანი, დაფხრეწილი ტომრები, გაზეთის ნაგლეჯები, ფერადი ჟურნალები და დაფლეთილი მუყაო...

ლოცმანმა მითხრა, ამ ქოხებში ქალაქიდან გაძევებული მეძავი ქალები ცხოვრობენო.

— სინიორ, დროდადრო მენავეებს ისინი უცხოელთა გემებთან მიჰყავთ და პურის ფულს მაინც შოულობენ.

ნავსაბმელს რომ მივადექით და ლოცმანიც ტრაპამდე მივაცილე, ზღვაში, ჩვენი გემისაკენ მომავალი ნახშირივით შავი ნავი დავინახე. შიგ მხოლოდ ერთი მენავე იჯდა. ნიჩბებისათვის ხელი ჩაევლო და არხეინად უსვამდა. უკან კიდევ, ნავის რაფაზე, ვიღაც წამოსკუპებულიყო. ის ვიღაც ჭრელ უშველებელ პირსახოცში გახლდათ გახვეული, არც თავი მოუჩანდა და არც ხელები. ისე იდო რაფაზე, კვარცხლბეკზე აღმართული, გასახსნელად გამზადებული ძეგლი გეგონებოდათ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ თეთრი ზეწრის მაგივრად ტანზე ჭრელი პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული. ეს პირსახოცი, გეოგრაფიულ რუკასავით ათასფრად იყო აჭრელებული და ზედაც ათი ათასი სისულელე ეწერა, ცენტრში კი დიდი, უშველებელი მწვანე ასოებით მკვეთრად გახლდათ გამოკვეთილი: „პუერტო დე ლა კრუსს".

ნავი გემის მარჯვენა ბორტს მიადგა თუ არა, ჭრელ პირსახოცში გახვეული არსება გროტანძასავით შეინძრა, მერე ადგა და პირსახოცი სწრაფად მოიშვლიპა. ჩემს წინ მთლად შიშველი, ულამაზესი ქალიშვილი იდგა. ოდნავ იღიმებოდა და შავი, ბრდღვიალა თვალებით ცბიერად მზვერავდა. მერე ამ თვალებში ცბიერება ნელნელა ჩაქრა და მის მაგივრად გაკვირვება გამოისახა.

ამასობაში იმ ყოჩაღმა მენავემ ნიჩბები ზევით ასწია, საქმიანად ამომხედა და მთელი ხმით დამიყვირა:

— სინიორ, შეხედეთ, ვენესუელელი მზეთუნახავი! წლეულს კარაკასში სილამაზის პირველი პრიზი მიიღო. გადაიხადეთ ათი დოლარი და ის თქვენი იქნება. ნუ დაინანებთ ათ დოლარს. კარგად შეხედეთ, რა გოგოა!

მე არ გამჭირვებია ის გოგონა კონჩიტა ბაეხო გონსალესად შემეცნო. სწორედ ის მშვენიერი კონჩიტა, წითელ რახრახა ავტობუსში გვერდულა სკამზე, ქაქანა თუთიყუშთან ახლოს რომ ჯდებოდა ხოლმე. ყოველთვის ძველი გაცრეცილი კაბა ეცვა და სახეზე ღიმილს არ იკარებდა.

ალბათ იმანაც მიცნო. სწრაფად დაიხარა, მარჯვენა ხელით ფეხებთან დაგდებულ პირსახოცს დასწვდა, ფაციფუცით აიღო, ჯერ თავზე შემოიხვია, მერე ტანზე და ფეხებზე და ისევ რაფაზე დასკუპდა, მაშინვე მთელი ტანით მენავისაკენ გადაიხარა და რაღაც უთხრა. მენავემ უცბათ ვერ გაუგო და კონჩიტამ ნათქვამი ისევ გაუმეორა. მერე თავი ჩემსკენ მოატრიალა, ისე რომ ის გრძელი პირსახოცი ზედ მწვანე, ხასხასა ასოებით რომ ეწერა: „პუერტო დე ლა კრუსს", სახიდან არ მოუშორებია. მხოლოდ და მხოლოდ შავი, ნაღვლიანი თვალები მოუჩანდა და მეტი არაფერი. იმ აჭრელებულ ქსოვილს, ზედ რომ ათასგვარი სისულელე იყო დაჯღაბნილი, ყველაფერი დაეფარა.

ნავი ზანტად, ზოზინით შებრუნდა და გეზი ხრიოკი, საცოდავი კუნძულისაკენ აიღო.

ვიგრძენი, კონჩიტა ბაეხო გონსალესი, ბედისწერამ ლას პალმასიდან ვენესუელაში რომ გამოსტყორცნა, თავისი საცოდავი იმედის უკანასკნელ ქისას ცლიდა.

იქნებ ვცდები, კონჩიტა, და შენ კიდევ დაგრჩა იმედის ის ქისა, აკვნიდან გადმოსვლისთანავე დედები რომ გვირიგებენ!...



# ჩვენს პედაგოგიურ საბჭოში სხდომა № 10

## დღის წესრიგშია

### „ატესტატის ნიშანი—ზოგიერთი პედაგოგის ცდუნება!“

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციამ წერილები მიიღო: მკითხველები გულისტკივილს გამოთქვამენ, უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი მასწავლებლის ავტორიტეტს ჩრდილი მიადგაო, და, ამის ერთ-ერთ მიზეზად ატესტატის ქულებს ასახელებენ.

რედაქციამ პედაგოგიური საბჭოს მორიგ სხდომაზე მოიხმო განათლების მუშაკები: თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ნათელა ვასაძე; ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი ლევან ჩიქვანაია; ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა სექტორის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი სერგო დვალი; თბილისის 119 ე საშუალო სკოლის დირექტორი ნინო კვანტალიანი; 67-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ვენერა კალანდაძე; 30-ე საშუალო სკოლის დირექტორი მადონა მგელაძე; საწარმოო გაერთიანება ელმავალმშენებლის ამწყობი საამქროს ზეინკალთა ბრიგადის ბრიგადირი, მშობელი ანზორ გორგაძე; პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე იზა კეკელიძე. მოვუსმინოთ მათ.

ვ ე ნ ე რ ა  კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე — რაკი მკითხველმა ჟურნალის რედაქციას ამცნო თავისი გულისტკივილი, რაღა თქმა უნდა, ამ საკითხზე მსჯელობა აუცილებელია.

— რამ აალელვა ასე საზოგადოებრიობა?!

ლ ე ვ ა ნ  ჩ ი ქ ვ ა ნ ა ი ა: რამ აალელვა და ფაქტებმა... ჩვენი მასწავლებლობის, სკოლისა და სახალხო განათლების მუშაკთა დიდი უმრავლესობა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას... მაგრამ სინამდვილეს ვერსად გავექცევით... სულ ახლახან რესპუბლიკის ყველა მასწავლებლისა და სახალხო განათლების სისტემის მუშაკისადმი სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის უკომპრომისო ბრძოლის შემდგომი გაძლიერების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ პრესაში წერილი გამოაქვეყნა და ეს იმიტომ, რომ სრულიად მოუთმენელი გახდა სკოლის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისადმი ჩვენი შემრიგებლური დამოკიდებულება; როგორც წერილშია ნათქვამი, უწინარეს ყოვლისა, ეს ვლინდება მოსწავლის ცოდნის შემოწმებისა და შეფასების არაობიექტურობით, ლიბერალიზმით, პროტექციონიზმითა და ანგარებითაც კი, პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევებით, ყოველივე ამას შედეგიც სავალალო მოჰყვა...

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ერთ-ერთ გაფართოებულ სხდომაზე ოთხი გზასაცდენილი მოსწავლის საკითხი განიხილებოდა. როცა მათი დანაშაულობათა მიზეზები გავაანალიზეთ, გონებით მშობლებზე ადრე მასწავლებლებთან აღმოვჩნდით... არასრულწლოვანების ნაცვლად თითქოს საბრალდებლო სკამზე ამ მოზარდების პედაგოგები ისხდნენ... იმ ბიუროზე ლაპარაკი იყო 127-ე საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის იური გოცირიძის არაკეთილსინდისიერებაზე, მის მიერ ჩადენილ სიყალბეზე.

ანდა თბილისის მასწავლებელთა კონფერენციაზე დასახელებული ფაქტები: ...216 ოქროს მედლის სავარაუდო კანდიდატიდან სკოლის მიერ დასმული მაღალი ნიშანი გაამართლა მხოლოდ 39,3 პროცენტმა. მკაცრად დაისაჯა 30-ზე მეტი მუშაკი, დასჯილთა შორის აღმოჩნდა ბევრი მოწინავე მასწავლებელი, რომელთაც სძლია გულჩვილობამ, ადამიანურმა სისუსტემ და, შესაძლოა, სხვა რამემაც... შემდეგ, მათ სავსებით შეიგნეს თავიანთი შეცდომა, მაგრამ არის საპირისპირო ფაქტებიც: 22-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ერთგვერდიან ნაშრომში (?!), რომელშიაც 20-ზე მეტი შეცდომა იყო, მოსწავლეს ოთხიანი დაუწერა.

აი, თუ გნებავთ, ამონაწერი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ განხილული რესპუბლიკის სკოლებში 1978-79 სასწავლო წლის გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებიდან: „...გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზით გამომჟღავნდა, რომ საშუალო სკოლადამთავრებულთა საბოლოო ნიშნები სრულიად არ ასახავს მათი რეალური ცოდნის დონეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტებში მისაღებ გამოცდებზე შარშან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 3457 აბიტურიენტმა, მათ შორის 15 ოქროს მედალოსანმა, 1079-მა „5" ქულიანმა და 2363-მა „4,5" ქულიანი ატესტატის მფლობელმა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ოქროს მედლის 51 კანდიდატს ეთქვა უარი დაჯილდოებაზე. თითქოს კანონიერებამ იზეიმა, მაგრამ მშობელთა ერთმა ნაწილმა სამინისტროს ობიექტური, პრინციპული გადაწყვეტილება არად ჩათვალა და საჩივრებით ქვეყანა ააწრიალა. ან კი როგორ უნდა იმართლონ თავი იმ მასწავლებლებმა, რომლებიც წლების მანძილზე დაუმსახურებლად უწერდნენ მაღალ ნიშნებს მოსწავლეებს. დანაშაულს სჩადიან ყველას თვალწინ. ამას კი ხედავენ მოსწავლეები, მშობლები, პატიოსანი და უანგარო მასწავლებლები და, რა გასაკვირია, რომ ასეთი ფაქტების წინააღმდეგ ხმას არვინ იმაღლებს, დუმილით არიდებენ თვალს, შემწყნარებლობა უღირსი კოლეგებისა, პასიურობა, იმათ მიმართ, ვინც ლაფში სვრის მასწავლებლის ავტორიტეტს, — მოუთმენელია!

**ანზორ გორგაძე:** დიდებულად კი არის ნათქვამი: სამყაროს მზე ანათებს — ცხოვრებას მასწავლებელიო! მასწავლებლის სახელს გაფრთხილება ჭირდება; — მასწავლებელი და სიყალბე? თვალისახვევა? — ამის გაგონებაზე თითოეულ ჩვენგანს მეხი გვეცემა თავზე თითქოს.

**ლევან ჩიქვანაია:** დიახ, მოფრთხილება სჭირდება, მაგრამ, უპირველესად, თვით მასწავლებლისაგან... „მასწავლებელი, ნათქვამია სკოლის წესდებაში, — პასუხს აგებს მოსწავლეთა სწავლების ხარისხისათვის, მათი ცოდნის დონისა და აღზრდისათვის". ეს იმიტომ ხდება, რომ რატომღაც ზოგიერთმა დაივიწყა ჩვენი რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება „მოსწავლის ცოდნის შეფასებისა და საშუალო კურსდამთავრებულთა ატესტატების გაცემის წესის სერიოზული დარღვევების შესახებ". მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებასა და შეფასებაში სუბიექტივიზმი და პირადი დაინტერესება განსაკუთრებით მახინჯი ფორმით გამოვლინდა საშუალო განათლების ატესტატში, რადგან ამ გზით მიღებულმა საბოლოო ნიშნებმა უფრო გააიოლა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. ამ დანაშაულებრივი მისწრაფების გამო ხშირ შემთხვევაში ნიშანი „3" და „4" საშუალო განათლების ატესტატში გადასწორებული აღმოჩნდა უფრო მაღალ ნიშნად, რათა ხელოვნურად გაზრდილიყო საშუალო არითმეტიკული საატესტატო ნიშანი, როგორც გამოირკვა, დანაშაულს სჩადის ის, ვინც უარს არ ამბობს სხვადასხვა სახისა და ფორმის „პატივისცემაზე", იღებს საჩუქრებს, ამისათვის აგროვებენ ფულს... სამწუხაროდ, ამ საქმის ინიციატორებად შვილებისათვის მაღალი ნიშნების მოსურნე „აქტიური" მშობლები გამოდიან.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიამ ამ ორი წლის წინათ განიხილა სასკოლო ნიშნის პრესტიჟის საკითხი. შემდეგ გაზეთ „უჩიტელსკაია გაზეტას" ფურცლებზეც გაიმართა დისკუსია, რომელმაც სკოლის მუშაკებს ერთგვარი ორიენტაცია მისცა.

**ნათელა ვასაძე:** როცა ატესტატის ნიშანზე ვსაუბრობთ, უსათუოდ სასკოლო ნიშნის პრობლემებს უნდა მივუბრუნდეთ. უწინარეს ყოვლისა, არ შეიძლება შეფასება-ნიშანი განვიხილოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ყველა სხვა საშუალებისაგან, სწავლების მეთოდიკისაგან მოწყვეტით. სასკოლო ნიშანი ცოდნის, უნარის, ჩვევების, მასალის ათვისების მაჩვენებელია.

**ანზორ გორგაძე:** ერთ-ერთ გზისმკვლევად სამართლიანობის დამკვიდრებაში მასწავლებელი მიგვაჩნია. ალბათ ამიტომაც გადაწყდა ჟურნალის ფურცლებიდანაც მათთან პრინციპულად გასაუბრება. დაუმსახურებლად მიღებული მაღალქულიანი სკოლის ატესტატი რყვნის ახალგაზრდას, უჩენს ყალბ თვითმიზანს. რა თქმა უნდა, ფულით მიღებულ ნიშანს იგი ფულზევე გაჰყიდის, სწორედ ეს არის საგანგაშო. ამიტომ უნდა ამ საქმეს ახლავე შველა... ზომების მიღება.

**ვენერა კალანდაძე:** შეფასების ობიექტურობა მასწავლებლის ხელთ არის. ფორმულა შეიძლება მოკლედ ჩამოყალიბდეს: ნიშნის ობიექტურობა, მისი მნიშვნელობა სწავლაში ბავშვების წარმატებათა სტიმულირებისათვის პირდაპირ დამოკიდებულია მასწავლებლის ოსტატობაზე. ჩემი აზრით, ამ მეტად საშიშ „სენს" ატესტატის ნიშნის ცდუნებას, უპირველეს ყოვლისა, თავად პედაგოგი უნდა გაუმკლავდეს. პირადი გამოცდილებიდან მოგახსენებთ. ცნობილია მოსწავლეთა უმრავლესობას წერაში მაღალი ნიშნის მიღება უჭირს. წარმოიდგინეთ, ასეთი შეძახილიც კი მესმის: — ყველა საგანში ხუთიანი აქვს, ქართული წერა რა გახდა? ასეთი შემოტევის გამკლავება ზოგჯერ გვიჭირს.

...მზარავს იმათი სახეები, რომლებიც ნიშნის მომატებას ითხოვენ, ასეთ ადამიანებს სახეზე მლიქვნელის საოცრად ახალი ვარიანტის „ღიმილი" გაუჩნდათ: ისინი სულ მცირე რამეს ითხოვენ — ნიშნის წამატებას...

უკანასკნელ პერიოდში თითქოს მოიძებნა ოპტიმალური გზა: შემოიღეს საქალაქო წერა, რომელმაც ცოტა შეგვიმსუბუქა მდგომარეობა...

**ლევან ჩიქვანაია:** ქალბატონო ვენერა, სამწუხაროა, რომ ეს დაგვჭირდა.

პედაგოგთა უმეტესი ნაწილი, რა თქმა უნდა, სულით ხორცამდე ერთგულია თავისი პროფესიისა, მაგრამ რა ვიღონოთ იმათ მიმართ, ვინც შეულახა მათ ავტორიტეტი? მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, სემინარები, კურსები, საუბრები, ლექციები, დატუქსვა, თუნდაც სასჯელი გამოასწორებს ასეთ ხარვეზს?!

**ვენერა კალანდაძე:** ყველამ ჩაიხედოს თავის გულში, პირადად ჩემი მიზანი მხოლოდ ის კი არ არის, რომ მოსწავლე უმაღლესი სასწავლებლისთვის მოვამზადო, მე მას მოქალაქედ ვზრდი!

საქმეს ბევრი რამ გვირთულებს, ავიღოთ თუნდაც საკლასო ჟურნალების ამბავი. ამაზე პედაგოგიურ პრესაშიც კი დაიბეჭდა: ხშირია მასში ნიშნის გადასწორების, ჟურნალიდან ფურცლის ამოღება-ჩამატების, ან ჟურნალის სრულიად დაკარგვის ფაქტები, იქნებ აჯობებდა ქალაქის განათლების სამმართველოს სკოლებისათვის ბეჭედდასმული ჟურნალები დაერიგებინა, ასეთი რამ არ უნდა გვჭირდებოდეს, მაგრამ რას იზამ...

კიდევ ერთი, მეტად მტკივნეული საკითხი: აკრძალულია, მაგრამ რატომღაც ძალიან გახშირდა IX-X კლასებში მოსწავლეების სკოლიდან სკოლაში გადაყვანა. ეს ფაქტი მოსწავლეთა კოლექტივში აუტანელ სიტუაციას ქმნის, ყველა გრძნობს, რომ იგი სხვა არაფერია, თუ არა ისევ და ისევ მაღალი ნიშნების მოპოვების მრავალთა შორის ერთ-ერთი ხერხი. ასეთი რამ, ვფიქრობ, კატეგორიულად უნდა აიკრძალოს.

**სერგო დვალი:** თავისთავად, ნიშანს პირდაპირი ზნეობრივი დატვირთვა აქვს. განრისხებულმა მასწავლებელმა შეიძლება სინდისის უქეჯნელად დაუწეროს ორიანი უქნარას, მაგრამ შესაძლებელია იმ მოსწავლესთან ერთად იდარდოს, რომელმაც კარნახში ორიანი მიიღო. ერთი მოსწავლისათვის სამიანის მიღება საგანგებო სამარცხვინო შემთხვევაა, ხოლო მეორისათვის იგივე ნიშანი წარმატების მაჩვენებელია. ჟურნალის მკითხველები სავსებით სამართლიანად მიუთითებენ თავიანთ წერილში ზნეობრივი აღზრდისათვის მიყენებულ იმ ზიანზე, რასაც ნიშნის აწევა იწვევს. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია...

**მადონა მგელაძე:** დიახ, საქმე მარტო ეს როდია, ზნეობრივი, აღმზრდელობითი ზემოქმედება დაკავშირებულია ნებისმიერი ნიშნის გამოყვანასთან, რადგანაც ამ აქტით ერთსა და იმავე დროს ისახება სწავლისადმი მოსწავლის დამოკიდებულებაც და აღსაზრდელის საქმიანობის შედეგებისადმი მასწავლებლის დამოკიდებულებაც. სწორედ ამის წყალობით იქცევა ნიშანი პედაგოგიური ზემოქმედების აქტად, მან გონივრულად რომ გამოიყენოს დაწერილი ნიშნის აღმზრდელობითი გავლენა, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა იცოდეს პედაგოგიური ზემოქმედების მეთოდების ეფექტური გამოყენების პირობები, ფლობდეს ამ მეთოდების სხვადასხვა ფორმებსა და კერძო ხერხების საკმაოდ სრულ ნაკრებს. ორი წელია, რაც სკოლის დირექტორად დამნიშნეს და, სამწუხაროდ, უკვე მოვასწარი სასჯელის მიღება, ჩვენი სკოლის ორმა კურსდამთავრებულმა თბილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე ატესტატის ნიშნები ვერ გაამართლა...

ატესტატის ქულების შემოღებამ გაამწვავა ურთიერთობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, მასწავლებელი იქცა ისეთ პიროვნებად, რომელსაც შეუძლია თავისი ნიშნით ხელი შეუწყოს ან შეუშალოს ახალგაზრდის მომავალს. ამას მხოლოდ პედაგოგის სინდისი და პატიოსნება თუ ამოძირკვავს.

შეუნიშნავი არაფერი რჩება, როგორც კი შევატყობთ მასწავლებელს ატესტატის ნიშნები ცდუნებად გადაექცა, ხმა უნდა ავიმაღლოთ, შევარცხვინოთ, მოვკვეთოთ წმინდა პედაგოგიური კოლექტივიდან.

**ნ ა თ ე ლ ა  ვ ა ს ა ძ ე:** ზოგიერთ სკოლაში ნიშნის არითმეტიკ სამწუხაროდ, ქულების შემოღებამდე მოიკიდა ფეხი. მისი მანკიერების მთელი სიგრძე-სიგანე იმიტომ გამოჩნდა, რომ ახლა, საერთოდ ყოველგვარ მანკიერებას შევებრძოლეთ. მაგრამ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პედაგოგის ავტორიტეტზე ნათქვამი სიტყვა კარგად უნდა აიწონოს. მასწავლებელს რომ კრიტიკისათვის გავიმეტებთ, იგი სკოლაში აღარ უნდა დარჩეს, მოსწავლის ცოდნა ობიექტურად არ შეფასდება, თუ დაუნდობლად არ ვამხელთ, კოლექტივისაგან არ გავრიყავთ მას, ვისაც ღალატს შევნიშნავთ. მოხარული ვიქნები, რომ ატესტატის ქულები არ იყოს. შეუძლებელია კოლექტივმა ვერ შენიშნოს მოსაქმე რეპეტიტორი, ან კიდევ პედაგოგი, რომელიც თავის მოსწავლეს რეპეტიტორთან „მაკლერობს". უნდა ითქვას, რომ მისაღები გამოცდების საჯაროობამ ჩვენ ბევრი გაუგებრობა აგვაცილა, მაგრამ ბევრ რამეშიც ჩაგვახედა, საპრეტენზიო კომისიაში ზოგჯერ მშობელს მისი შვილის რეპეტიტორიც თან მოჰყვება ხოლმე, შევსწრებივართ მათს ხელჩართულ ბრძოლას, ფიზიკურ შეურაცხყოფამდე მისულ შეხლა-შემოხლასაც კი. სწორედ ეს მიმაჩნია ზოგიერთი პედაგოგის, მშობლის დამამცირებლად და დამაკნინებლად.

ზოგჯერ უმაღლესი სასწავლებელი სკოლას საყვედურობს, ცოდნა ნიშანს არ შეესაბამებაო. დიდ გამარჯვებად მიმაჩნია, რომ ზემდგომ ორგანოებში, მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით ჩვენგან საჩივარი არ იგზავნება; მისაღები გამოცდები ჩვენ თითქმის სკოლასთან ერთად ჩავატარეთ, გამოცდის ფორმაც სკოლისაგან გადმოვიღეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, აბიტურიენტთა 82 პროცენტმა შეფასება ორიანი მიიღო; რომელთა უმრავლესობას სკოლის ატესტატში „4", „5" და „3" ეწერა, — კომენტარი ზედმეტია!

**ს ე რ გ ო  დ ვ ა ლ ი:** უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში აბიტურიენტთა ჩარიცხვისას საშუალო განათლების ატესტატის შეფასების ავკარგიანობა ამჟამად მარტო აქტუალურ საკითხად კი არა, პრობლემადაც იქცა; ამიტომ, ბუნებრივია, აუცილებელია ამ პრობლემის გადაჭრისათვის გარკვეული, დასაბუთებული საზოგადოებრივი აზრის შემუშავება, საჭიროა ყველა პლუსისა და მინუსის გულმოდგინე განხილვა-შეფასება და დასკვნის გამოტანა. ატესტატის ქულისათვის ანგარიშის გაწევა დიდი გაუზომავ-აუწონავი სტიმულია, მარტო მოსწავლისათვის, კი არა თვით მშობლისათვისაც.

**ი ზ ა  კ ე კ ე ლ ი ძ ე:** მართალი ბრძანდებით. ერთი ჩვენს სფეროშიც შევიხედოთ. პიონერთა რესპუბლიკურ სასახლეში სკოლის ზარი არ ირეკება, არ იწერება ნიშნები, მაგრამ მის 700 წრეში გაერთიანებულ 12000 მოსწავლეს ყველა სატკივარი ჩვენთან მოაქვს, რაც გამოიხატება სიგელების, დიპლომების მიღებისათვის გაჩაღებული ბრძოლით, რომელიც ე. წ. მაღალქულიან ატესტატს ემატება. ...იმ პედაგოგებისადმი, რომელთაც ატესტატის ნიშნები ცდუნებად ექცათ, ადმინისტრაციული ზემოქმედებისა და საზოგადოებრივი გაკიცხვის გარდა, ვფიქრობ, აუცილებელია შინასასკოლო ხელმძღვანელობის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ, როცა კომკავშირულ ორგანიზაციებში ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე საკითხი განიხილებოდა, მოსწავლე ახალგაზრდობამ თავისი გულახდილობით, პირდაპირობით, პრინციპულობით პედაგოგი იმ პროცესში ჩაახედა, რომელსაც სკოლაში უპატიოსნო გზა, უპრინციპობა, ნეგატიური მოვლენები ჰქვია; მშობლებიც სცოდავენ: მათი შეტევა ზოგჯერ სკოლისგარეშე დაწესებულებაში სიგელების მიღებისათვის ბრძოლის პროცესში ვლინდება; შემთხვევები სკოლაშიც არის.

**ნ ი ნ ო  კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი:** ყველგან ასე როდი ხდება, სკოლაში ატესტატის ქულები სწავლების სტიმულირება გახლავთ. ჩვენთვის უცხოა ამ საკითხზე ვინმეს და, მათ შორის, უპირველესად, მშობლის პრეტენზია. აქ ზოგიერთი მშობლის მცდარ მოქმედებაზე იყო ლაპარაკი. ერთი მშობლის მაგალითს მოგახსენებთ. ჩვენთან სოციალისტური შრომის გმირის გიორგი კურტანიძის სამი შვილი სწავლობს. ერთ-ერთი მათგანი X კლასშია. არც გოგონასაგან, არც მისი მშობლისაგან არასოდეს მოგვისმენია საჩივარი. არ მახსოვს სკოლაში ვინმეს დაერეკოს ჩემს შვილს ნიშანი აუწიეთო, შეიძლება ასე იმიტომაც არის, რომ სკოლა მუშათა შვილებით არის დაკომპლექტებული. საერთოდ მშობლებს მეოთხედის ბოლოს ვიწვევთ მშობელთა კრებებზე. წლის ბოლოს კი საერთოდ ვუკრძალავთ სკოლაში მოსვლას.

**ა ნ ზ ო რ  გ ო რ გ ა ძ ე:** ვწუხვარ! როცა მშობლის მიმართ გამოთქმული საყვედურები მესმის, 114-ე სკოლაში ჩემი სამი შვილი სწავლობს. მასწავლებელთან ნიშანზე კამათი არასოდეს გაგვიმართავს. ეს რა საკადრისია, მასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლება! ოდითგანვე მშობელი უწყობდა ხელს, პირველმა მან დააკანონა კრძალვა და რიდი მისი შვილის აღმზრდელისადმი, მან ჩაუნერგა ყრმას პედაგოგისადმი მოწიწება, — გააფრთხილა პატივი ეცი მასწავლებელსო!

**ი ზ ა  კ ე კ ე ლ ი ძ ე:** ბატონო ანზორ, გისმენთ და თვალწინ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტობა მიდგას, მე ხომ მათთან მუშაობა მიხდება, მათი სახით მომავალ პედაგოგთა საიმედო ცვლა გვეზრდება; საფრთხე კი თან გვდევს... მერედა, ახალბედა მასწავლებელს, როგორი ტრადიციებით შეხვდება სკოლა? თავიდანვე, როგორ განაწყობს მავნე ჩვევების წინააღმდეგ! ჩემი აზრით, მომავალი პედაგოგი სკოლაშივე უნდა მომზადდეს. აქ ეყრება საფუძველი მომავალი პედაგოგის კეთილსინდისიერებას, ნებისყოფას, პასუხისმგებლობას...

**ნ ა თ ე ლ ა  ვ ა ს ა ძ ე:** გეთანხმებით. მომავალი პედაგოგი სკოლის მერხიდან იზრდება...

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბოლო პერიოდში ორი უმნიშვნელოვანესი დადგენილება მიიღო: „იდეოლოგიური, პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" და „უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ". ამ დადგენილებებიდან გამომდინარე. ჩვენი რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანების პრობლემურობა და მასშტაბურობა გვიკარნახებს, რომ უმაღლესი სკოლის ყოველმა მუშაკმა კარგად გაიაზროს აღნიშნულ დადგენილებათა შინაარსი, სულისკვეთება და გადაიტანოს კონკრეტულ საქმიანობაში. ამ დოკუმენტების უდიდესი მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ თითოეული ჩვენგანი მათში თავის კონკრეტულ ადგილსა და ამოცანას ხედავს. ამ მიმართულებით მუშაობას მეტად ართულებს სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის მემკვიდრეობითობის პრობლემის გადაწყვეტა. ერთ-ერთი მათგანი სკოლიდან მომდინარეობს... რეპეტიტორობა! მექრთამეობისა და პროტექციონიზმის ეს შენიღბული ფორმა და სხვა ბევრი ფაქტორი ერთგვარ საფუძველს იძლევა, რათა საზოგადოებრიობამ ეჭვი შეიტანოს უფასო განათლებაში, განსაკუთრებით უფროს კლასებში, სადაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალბალიანი ატესტატის მოპოვებას; ისიც ნათელია, რომ დაუმსახურებლად მაღალ ნიშნებს ამოფარებულმა მოსწავლეებმა სუსტად იციან პროგრამით გათვალისწინებული მასალა, აღარ ცნობენ სკოლის, მასწავლებლის ავტორიტეტს, რეპეტიტორებთან ემზადებიან სპეციალურ დისციპლინებში, სწორედ ამიტომ მიმართა განათლების სამინისტრომ წერილით ყველას, რათა ბოლო მოეღოს განუკითხავ დამოკიდებულებას სასკოლო ცხოვრების ნეგატიური მოვლენებისადმი;

ჩემი აზრით, კანონი პირველად კლასში უნდა შემოვიდეს. აქ უნდა ჩაეყაროს საფუძველი იმ აზრს, რომ მასწავლებელი ნიშანს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურად წერს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ატესტატის მიღების პერიოდში მეათეკლასელი თავს უნდა გრძნობდეს თავისი ქვეყნის ნამდვილ მოქალაქედ, იმ ფართო სოციალურ ურთიერთობათა მონაწილედ, რომელიც სამართლით, კანონით წესრიგდება, ასე, რომ შენიშნულ მანკიერებას მოსწავლე თვითონაც უნდა შეებრძოლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულ ახლახან გაიმართა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევა სოციალისტური ცხოვრების წესის, კომუნისტური წესის, კომუნისტური ნორმების პრინციპების საყოველთაო დამკვიდრების წინაპირობაა“. აქედან გამომდინარე, როგორია მასწავლებლის როლი კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის პროცესში? სწორედ ამ პრიზმიდან უნდა გავაანალიზოთ აღნიშნული საკითხი, საქმე სულისკვეთებას ეხება და არა საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებიდან ცალკეულ გადახვევებს; — პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე, აი, რა უნდა დაუპირისპირდეს ზოგიერთ ცდუნებას; აი, ეს სჭირდება დღეს პედაგოგიურ საზოგადოებას. თუ პედაგოგიური კოლექტივი, ოჯახთან ერთად ხელიხელჩაკიდული იქნება და არ შეასუსტებს კონტროლს თავისა და თავისი კოლეგის შრომისადმი, ვერა და ვერ იქცევა ატესტატის ქულები მასწავლებლის ცდუნებად. სადაც ეს ვერ შესძლეს, სწორედ იქ მოეცხო ჩირქი საბჭოთა მასწავლებლის ღირსებას, სახელი გაუტუდა აღმზრდელის პროფესიას, ავტორიტეტი შეელახა სკოლას, გამოიწვია ფართო საზოგადოებრიობის, კიდევ მეტი, თვით მოსწავლეთა დიდი ნაწილისა და მშობლების სამართლიანი გულისწყრომა. ცოდნის შემოწმება-შეფასება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, ამიტომ, უპირველესად, სკოლის კოლექტივმა საფუძვლიანად უნდა გააანალიზოს მოსწავლეთა ცოდნის — შემოწმება-შეფასებაში არსებული დარღვევები. მანკიერი პრაქტიკა ზიანს აყენებს საბჭოთა სკოლის პრესტიჟს, ხელს უწყობს რეპეტიტორობის გავრცელებას, წარმოშობს კონფლიქტურ სიტუაციებს, რაც მთავარია, ართულებს მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბების საქმეს. კეთილი რწმენა და იმედი ჩვენი სასიკეთო და საიმედო მეგზურია საშვილიშვილო მიზნის მისაღწევად; მაკარენკო ამბობდა: „მასწავლებელს მხურვალედ უნდა უყვარდეს თავისი საქმე და შეეძლოს ამ საქმისადმი უანგარო სამსახური“. აქედან გამომდინარეობს ჩვენი თავშეყრის მიზანიც.

მახსენდება სუხომლინსკის სიტყვები — თვით გულსაც არ ვიშურებ ბავშვებისათვისო, ეს თუ რწმენად გვექცევა, არ შეიძლება ასეთ მასწავლებელს ატესტატის ქულები ცდუნებად ექცეს. მხოლოდ და მხოლოდ ყველა საგანში ობიექტურად დაწერილი ნიშანი აამაღლებს მასწავლებლის ავტორიტეტს. მისი სახელი შეუბღალავი და სპეტაკი უნდა იყოს. სკოლა, სადაც ის მოღვაწეობს წმიდათა-წმიდა ტაძარია!

საუბარი ჩაიწერა
**ნათელა ფაილოძემ**

**რედაქციისაგან:** მოგვწერეთ, როგორია თქვენი აზრი საკითხზე: „ატესტატის ნიშანი — ზოგიერთი პედაგოგის ცდუნება!“

# დათოს დედა იპოვა

ჩვენი ჟურნალის 1979 წლის IV ნომერში გამოქვეყნებული წერილი „დათო გელოდებათ, მშობლებო!“ ჩვენმა მკითხველმა გულთან მიიტანა, დაინტერესდა ბავშვის აწმყოთი და მომავლით, მივიღეთ უამრავი წერილი. ვეცდებით უფრო სრულყოფილად გადმოგცეთ პატარა დათოს ცხოვრების ის ერთი წელი, 9 თვე და 9 დღე, რაც დედის მოლოდინში გაატარა და ის სასიხარულო დღეც, როცა დედა იპოვა...

დათო ორი წლისა იყო, დედამ რომ მოიყვანა. ჩვენმა ბაგა-ბაღმა ისე, როგორც მრავალ მის თანატოლს, სიყვარულით გაუხსნა თავისი თბილი უბე. ნანამ გულახდილად უამბო ბაგა-ბაღის გამგეს თავისი გასაჭირი: ქმრის ოჯახიდან გამოძევებული ბავშვიანი ქალი, ულუკმაპუროდ დარჩენილიყო. სითბოს, საკვებს და მყუდროებას მოკლებულმა ბავშვმა შვება იგრძნო. იგი არავის უცხოობდა — ხელებგაშლილი მიბანცალებდა მისკენ, ვინც ხელს გაუწვდიდა... მხოლოდ დედა არსად ჩანდა...

გავიდა ხანი.

ბაგა-ბაღში ნანას წერილი მოვიდა: იგი ქუთაისის საავადმყოფოდან თავის ავადმყოფობას იტყობინებოდა და გვთხოვდა დათოს სურათი გაგვეგზავნა და მის გამოჯანსაღებამდე ბავშვისათვის მოგვევლო. გამგემ მას დათოს სურათი და გულთბილი ბარათი გაუგზავნა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქუთაისის საავადმყოფოდან ასეთი წერილი მოვიდა „პატ. ლენა, თქვენთვის მგონი ცნობილი ვარ, — უფროსი ექთანი. მგონი თქვენ იყავით აქ, ჩემს კაბინეტში რომ ელაპარაკეთ ნანა ხარბედიას, შოთა შ-ძის ნათესავი რომ გახლდათ. მიკვირს, რისთვის სწერთ ასეთ წერილს და უგზავნით სურათს მშობელ დედას, რომლის შვილი თქვენ გყავთ. ის ხომ მაინც დედაა და რისთვის აღიზიანებთ? ღირსი ხართ, წაგართვათ თავისი შვილი. ნანა ჩვენთან აღარ არის (სტილი დაცულია. ზ. მ.) წერილს ხელს აწერს ლ. კვიცარიძე.

...დათოს ჯგუფში შევდივარ.

— შენი დედიკო სად არის დათო?

— მოკვდა.

გაოცებული და გულმოსული ვუცქერი ძიძა-დამლაგებელს;

— დიახ, მოკვდა. მაგისთვის მკვდარია, მაშ აქამდე რატომ არ მოაკითხა? — ცხარობს ძიძა-დამლაგებელი ანა გავრინა. ბავშვს გულში ვიკრავ და ვეუბნები.

— არა, დათო, შენი დედიკო არ მომკვდარა. დედები არ კვდებიან! შენი დედიკო თვითმფრინავში ჩაჯდა და მოსკოვში წავიდა, ბევრი სათამაშო უნდა ჩამოგიტანოს, მერე კი სახლში წაგიყვანს.

დაიმედებულ ბავშვს სიხარულით უბრწყინავს თვალები. თვითმფრინავის ხსენებაზე აღტაცებული იძახის: „ფიფლივანი, ფიფლივანი! იქ ჩემი დედიკოა, მოცკოვში წავიდა, სათამაშოები უნდა ჩამომიტანოს! სახლში უნდა წამიყვანოს!“

გადავწყვიტე, დათოს უნდა ვუშველო! მის შესახებ გამგეს ვესაუბრები. ის ლ. კვიცარიძის ბარათს მიწვდის: იქნებ შენ მაინც მიხვდე, რას ნიშნავს ეს ბარათი, ან ვის ეკუთვნისო. მე ვიცი, ჩვენი ერთი თანამშრომელია დაინტერესებული „დათოს შვილად აყვანით“ და ვეკითხები:

— შოთა შ-ძე შენი ნათესავია?

— კი... — მიდასტურებს იგი და გაკვირვებული მიცქერის.

— ქუთაისის საავადმყოფოში რომ იყავით, დათოს დედასთან ის გახლდათ თან?

— საიდან იცი?

ყველაფერს ვხვდები.

...შემდეგ ნანა მწერდა: „...როგორც თქვენთვის ცნობილია, მოვხვდი ქუთაისის საავადმყოფოში, სადაც მძიმე ოპერაცია გამიკეთეს... ვიცოდი, ბავშვის პატრონს აუცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლებლად მოიკითხავდით. გული მეწვოდა — ყველასთან მოვიდოდნენ მშობლები, დათოსთან კი არა. წერილით გაცნობეთ ჩემი მდგომარეობა. ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან ვილაცეები ჩამოვიდნენ, „განათლებიდან ვართო", ბავშვი გააშვილეო. უარი ვუთხარი. ბავშვი ცოტა ხანს იქნება იმ ბაგა-ბაღში და მერე კი სხვაგან გადავიყვანთო. მთხოვდნენ ბავშვი გამეყიდა ...ხელწერილი დაგვიწერე, რომ შვილი აღარ გინდა და ბავშვს ჩვენ გავაშვილებთო. შენ რაც გეკუთვნის, იმას მიიღებო. ვტიროდი, ვემუდარებოდი: ჩემს ჩამოსვლამდე ბავშვი არ გააშვილოთ, ჩემს შვილს მე თვითონ მოვუვლი-მეთქი. როცა სააავადმყოფოდან გამოგწერენ ჩვენთან ჩამოდი და მოვილაპარაკოთო, მითხრეს, მისამართი დამიწერეს და 10 თუ 15 მანეთი დამიტოვეს.

მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ დათოს „შვილად აყვანის" მსურველმა პიროვნებამ საავადმყოფოს ხელმძღვანელობას ჩვენი ბაგა-ბაღის გამგედ გააცნო თავი. ამ ამბავზე პრინციპულად ვიმსჯელეთ. მთელმა კოლექტივმა დაგმო იგი.

გადავწყვიტე, პატარა დათოს შესახებ ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველებისათვის მეამბნა.

იქნებ ვინმე დაგვეხმაროს ნანას მოძებნაში...

იქნებ ნანამ წაიკითხოს თავისი შვილის ამბავი...

მსურს ნანამაც, ლ. კვიცარიძემაც, ყველა „შვილად აყვანის მსურველმა" ყველამ, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენთან, საბჭოთა ქვეყანაში ადამიანს გარეწრების მეტი არავინ ჟიდის და ყიდულობს, რომ ჩვენი კონსტიტუცია იცავს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, შრომის უფლებას... რომ ჩვენთან ბავშვები და ქალები განსაკუთრებული მზრუნველობით სარგებლობენ...

ჟურნალმა წერილი დაბეჭდა, მაგრამ ნანას იგი არ წაუკითხავს. ქუთაისის საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ, იმის მაგიერ რომ შვილი ეძებნა, დიდხელფასიანი სამუშაოს ძებნა დაიწყო. და ტიუმენის ოლქში გაემგზავრა... „ვიფიქრე, წავალ შორეულ აღმოსავლეთში, იქ მაღალი ხელფასებია, ვიმუშავებ, ავაწყობ ჩემს ცხოვრებას და მერე ბავშვსაც მოვძებნი მეთქი.. როგორც კი ოჯახი შევქმენი, მაშინვე მოვწერე ამის შესახებ მეგობარს, მას კი ჩემი წერილი თქვენთვის გამოუგზავნია", მომწერა შემდეგ ნანამ.

ერთ საღამოს სამნი მესტუმრნენ. კარი გავაღე თუ არა უნებლიედ შევძახე — „— დათოს მამა ხართ"! დათოს თვალებით იცინოდა ჩემი სტუმარი! — ეს ჩემი და, ესეც ჩემი ნათესავია! — გამაცნო თანმხლებნი.

ამ ვიზიტმა ძალიან გამახარა. აღარ ვიცოდი, რომელი ერთი მეამბნა მისთვის დათოზე. გულით მწადდა შვილის სიყვარულით ამენთო იგი, შევთანხმდით, მეორე დღეს უნდა ენახათ დათო.

დილით დათოს ვახარე, საღამოს შენი მამიკო მოვა მეთქი.

დიდხანს ვიდექი დათქმულ ადგილზე, მაგრამ ისინი აღარ გამოჩენილან. დათოს ხილი და ტკბილეული ვუყიდე. შენი მამიკო ავად გახდა და ეს საჩუქრები მე გამომატანა-მეთქი, ვუთხარი. გახარებული ბავშვი გულუხვად ურიგებდა ამხანაგებს „მამის გამოგზავნილ ნობათს"...

აგარაკიდან რომ დავბრუნდით, დათო ავად გახდა. საავადმყოფოში მოვათავსეთ, შემდეგ კი, ექიმების რჩევით, კოჯრის ბავშვთა სანატორიუმ „გაზაფხულში" გადავიყვანეთ. ტიპობრივი ბაგა-ბაღებისაგან განსხვავებით, ჩვენი, სანატორიული ბაგა-ბაღი დამატებით სამუშაოებს საჭიროებდა, რის გამოც დროებით მუშაობა შეწყდა და ჩვენი აღსაზრდელების ერთი ნაწილიც მშობლების მიერ იმავე სანატორიუმში გადაიყვანეს...

და აი 21 დეკემბერს ჩვენი ბაგა-ბაღი კვლავ ამუშავდა.

. . . . . . . .

კოჯორში მივდივარ. დათო უნდა ჩამოვიყვანო.

ბავშვებმა დამინახეს თუ არა, მაშინვე დათოს მოსაძებნად გაიქცნენ.

— ახლა ხომ მართლა წამიყვან? — მეკითხება დათო.

— მართლა! — ვჩქარობ. მეშინია თოვლმა გზა არ ჩაგვიკეტოს. დათოსთან ერთად ჩვენი ოთხი აღსაზრდელიც მომყავს, ჩვენი ბაგა-ბაღის გახსნის ამბავი გაუგიათ და დანარჩენები მშობლებს წამოუყვანიათ.

ავტობუსში მგზავრები მე და ჩემს ხუთ— სხვადასხვა ეროვნების ბავშვს ცნობისმოყვარედ გვათვალიერებენ. ცდილობენ გამოიცნონ ხუთი ბავშვით თბილისამდე მგზავრობა რამ მაკისრებინა.

—ესენი თქვენი შვილები არ უნდა იყვნენ. —მეუბნება ერთი. ყველაფერს ვუხსნი. ისინი ბავშვებს კალთაში ისხამენ, ეფერებიან, ართობენ. თბილისში ჩამოსულთ მანქანიდან გადმოსვლასა და ბარგის გადმოტანაში გვეხმარებიან. მგზავრობის ფულსაც თვითონ იხდიან. ორი მათგანი ტაქსის სადგომამდე გვაცილებს, ტაქსში ჩამსხდართ გვემშვიდობება, ერთი მძღოლს ათმანეთიანს აძლევს და სთხოვს მშვიდობით მიგვიყვანოს საბავშვო ბაღში.

ტაქსი ჩვენი ბაგა-ბაღის ეზოში შესრიალდა. ფანჯრიდან მედდა მარიამ ალხაზიშვილმა მოგვკრა თვალი და გახარებული გამოგვეგება.

ამაოდ არ დავშვრი... ჩემმა ძებნამ ნაყოფი გამოიღო... ვიღებ ნანას ბარათს, რომელიც მეგობრისთვის გამოუგზავნია: „ავაწყე ჩემი ცხოვრება, ბედნიერი ვარ, მაგრამ შვილის ამბავი მაწუხებს... მე და ჩემი მეუღლე ვაპირებთ საქართველოში ჩამოსვლას, ბავშვი უნდა მოვძებნოთ".

ნანას ფოსტით ჩვენს ჟურნალს და გულთბილ ბარათს ვუგზავნი. მსურს, ჩქარა შეიტყოს, რომ დათო ისევ მას ეკუთვნის, მას ელოდება...

* * *

ქალაქ ნეფტეიუგანსკის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მორიგე დისპეტჩერმა, — ახალგაზრდა ქართველმა ქალმა ნანა ხარბედიამ გზავნილის უწყება მიიღო, ფოსტაში გაიქცა, გზავნილი მოუთმენლად გახსნა... ჯერ გაოცებულმა შეათვალიერა ჟურნალი „საქართველოს ქალი". მერე შიგ ბარათი იპოვა და კითხვა დაიწყო. ბარათი რამდენჯერმე გადაიკითხა, აზრი ძლივს გამოიტანა... ჟურნალი გადაშალა და... შვილის სურათი გულში ჩაიკრა...

. . . . . . . .

სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარს ნამტირალევი ცოლის დანახვაზე ელდა ეცა:

— ბავშვს ხომ არაფერი მოუვიდა?

ნანამ პასუხად ჟურნალი უჩვენა და წერილის ტექსტი რუსულად გადაუთარგმნა. ცოლ-ქმარი სიხარულით ატირდა.

— ახლავე წადი საქართველოში და ბავშვი ჩამოიყვანე, —ეუბნება ქმარი ნანას, მასზე მეტად ეჩქარება, მაგრამ ქორწინების მოწმობის აღებას ელოდება, სურს, კანონიერი ბედნიერებით იამაყოს...

დეპეშით მატყობინებს: „მივიღე ყველაფერი, დიდი მადლობა, დამელოდეთ". გადის დღეები... ვიღებ წერილს, შემდეგ ისევ დეპეშას: „მოვდივარ სოჭიდან, 20 იანვარს თქვენთან ვიქნები".

— დათო, ხვალ შენი დედიკო ჩამოდის, აი, დეპეშა! ბავშვი ყურადღებით ათვალიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს ფურცელს, თითქოს კითხვა შეეძლოს. არ ვიცი, მხოლოდ რითი ჩამოვა ნანა, მატარებლით ჩამოვა თუ თვითმფრინავით.

თბილისის რკინიგზის ვაგზლის უფროსის მორიგე თანაშემწეს ა. ზ. ბასილაშვილს მდგომარეობას ვუხსნი და ვთხოვ, ხვალ, სოჭის მატარებლის სადგურში შემოსვლისთანავე ადგილობრივმა რადიოკვანძმა მატარებლიდან ჩამოსულ დედას აუწყოს, რომ შვილი ელოდება, მან ხომ არ იცის, თუ დავხვდებით.

ა. ბასილაშვილი ტექსტს იწერს.

შემდეგ აეროპორტში მივდივარ. მორიგე უფროს დისპეტჩერს, თამარ ალექსანდრეს ასულ ლუკიშინას იგივეს ვუმეორებ...

. . . . . . . . .

— ყველაფერში დაგეხმარებით, როგორც კი თვითმფრინავი ჩვენს ზონაში შემოვა, გამოვაცხადებთ, — მპირდება გულაჩუყებული ქალი.

* * *

20 იანვარი.

მე და დათო ტაქსით რკინიგზის სადგურისაკენ მივეშურებით. „დღეს ჩემი დედიკო უნდა ჩამოვიდეს". სიხარულს უზიარებს ბავშვი მძღოლს. მე მას დათოს სიხარულის მიზეზს ვუხსნი.

დათოს ამბით შეძრულმა მძღოლმა სადგურში მიგვიყვანა, „დღეს დათოს უფასოდ მოვემსახურებიო", გაგვიცხადა და მანქანა ადგილიდან დაძრა...

დამხვდურნი გაოცებულნი უსმენენ რეპროდუქტორს. მე კი მოუთმენლად ველოდები ქალს, რომელიც არასდროს მინახავს...

რკინიგზის სადგურის რეკონსტრუქციის გამო ოთახის მიგნება გაუძნელდა სიხარულით თავგზააბნეულ ქალს — ბოლოს მოიფიქრა, მილიციელს მიმართა. მისი დახმარებით ა. ბასილაშვილის კაბინეტში მოვიდა, მაგრამ შვილი იქ ველარ ნახა...

— მე ხომ არ მიცნობებია, მატარებლით ჩამოვალ მეთქი. მოისაზრა უცებ ქალმა და ტაქსით აეროპორტისკენ გაქანდა.

— დათო, ახლა შენ დედიკო წაგიყვანს. მე კი უშენოდ მომწყინდება, ვეუბნები დათოს აეროპორტში.

— ავტობუსში ჩავჯდები და მოვალ შენთან, — მანუგეშებს იგი.

ნამდვილი თვითმფრინავი ვაჩვენე. ცნობისმოყვარედ აბრიალებს დიდრონ თვალებს. მორიგე უფროს დისპეტჩერთან მივდივართ. ყველა ფეხზე დგას.

სოჭის თვითმფრინავი მოფრინდა. „მოქალაქე ნანა ხარბედია! აეროვაგზლის მოსაცდელში გელოდებათ თქვენი შვილი, დათო!" — ისმის ეთერში. გული ამაჩუყდა. „მადლობელი ვარ, კეთილო ადამიანებო!"

უცებ ვიღაცამ მორიდებით, მაგრამ ძალუმად მომქაჩა.

— ვის ეძებთ?

— ნანას! — ვეუბნები ახალგაზრდა ქალს, რომელიც მოუთმენლობად ქცეულა.

— შვილო! — ბავშვი ხელში აიტაცა, გულში ჩაიკრა. დათომ კისერზე მოხვია ხელები და გულში ჩაეკონა. სიხარულით ტირიან დედა-შვილი. ტირის ყველა ირგვლივ მყოფი. თამარ ალექსანდრეს ასულიც სიხარულის ცრემლს იწმენდს.

ნანა ცხარე ცრემლებით ეთხოვება ავადმოხსაგონარ, გზააბნეულ წარსულს და შვილთან ერთად რწმენას, იმედს, ადამიანის სიყვარულს იბრუნებს...

— დათო, რა ლამაზი დედიკო გყოლია! — ვეუბნები პატარას. ის მკერდში ეკვრის მშობელს და ეკითხება: „მამიკო სადღა არის? კიდევ ავად არის? მოვა? — მერე უამბობს, ერთხელ მამიკომ როგორ გაუგზავნა საბავშვო ბაღში ხილი და ტკბილეული. მალე გაჩვენებ მამიკოსო, — პირდება ნანა.

. . . . . . . . .

ა. ბასილაშვილი სამგზავრო ბილეთების შეძენაში ეხმარება ნანას, მამა-შვილურად არიგებს და გზას ულოცავს ახალი ცხოვრების გზაზე დამდგარ ქალს...

ნანამ თავისი ჩამოტანილი ტანსაცმლით შემოსა შვილი და ისედაც ლამაზი ბავშვი ანგელოზს დაამგვანა. დათოს ერთი სული აქვს, როდის წავა ჯგუფში და ტოლებს როდის აჩვენებს, რომ დედა მასაც მოუვიდა და ამდენი საჩუქარი მოუტანა...

მე მთელი დღე დედა-შვილთან ვარ. ბავშვი თანდათან ეჩვევა მშობელს, რომელიც ერთი წელი, ცხრა თვე და ცხრა დღეა აღარ უნახავს.

. . . . . . . . .

დათო უკვე სოხუმის მატარებელშია და ღია ფანჯრიდან მეტიკტიკება. მატარებელი ადგილიდან იძვრის. ბავშვი გრძნობს, რომ თვითონ მიდის, მე კი ვრჩები, ორივე ხელს ღია ფანჯრიდან მიწვდის და მეძახის: „ზეინაბ მასწავლებელო, დედიკო, დედა!"

მატარებელს ადევნებული, ბავშვს ვეხვეწები: „არ იტირო, დათო, მე მალე ჩამოვალ შენთან".

დათოს ხელები და ნანას თეთრი ცხვირსახოცი თვალს მიეფარა.

დათოს ხმა კი ყურებში ჩამრჩა... დედიკო, დედა!

. . . . . . . . .

— დათო წავიდა! — ვუთხარი ჩემს ქმარშვილს და სავარძელში ჩავეშვი. ვფიქრობ ნანაზე. გონების თვალით მის წერილს ვკითხულობ: „დავბადებულვარ 1954 წელს, არ ვიცი სად... 10 წლისამ გავიგე, რომ მათი შვილი არ ვიყავი და მას შემდეგ ჩემს ნამდვილ მშობლებს დავეძებ... არ მინდოდა, ჩემს შვილსაც „გამზრდელი" ჰყოლოდა. მუდამ მჯეროდა, რომ კეთილი ადამიანების დახმარებით ვიპოვიდი მას და მუდამ ერთად ვიქნებოდით..."

ვიხსენებ პატარა ბარათს, დათოს რომ მოსწერა: „ჩემო პატარავ, მე ჩამოვალ იმ ფიფქლივანით, შენ რომ ფანჯრიდან დაინახე, ჩამოგიტან ბევრ სათამაშოს და მერე შინ წაგიყვან... ამას გწერ ღია გულით. შენს თავს ვფიცავარ..."

მაწუხებს დათოსთან განშორება, მაგრამ მამხნევებენ მადლიერი დედის სიტყვები: გმადლობთ, დაო, დედავ და ღმერთო ჩემო — ზეინაბ!

ზეინაბ მდინარაძე-დაგრუნდაშვილი

# „საქართველოს ქალის" სიგნალის შემდეგ

1979 წელს ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „ნაყინი". იგი ეხებოდა თბილისის № 4 მაცივარკომბინატის ნაყინის ფაბრიკის სანიტარულ-ტექნიკურ და სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას.

სანეპიდსადგურმა შეამოწმა წერილში აღნიშნული ფაქტები და რედაქციას აცნობა:

ნაყინის ფაბრიკა მოთავსებულია მაცივარკომბინატის ტერიტორიაზე ტიპობრივ შენობაში, მაგრამ მისი ფართობი ვერ აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს. კერძოდ, ტარის შესანახი საწყობი და სამრეცხაო მცირე მოცულობისაა, სახარშავ საამქროში არ გააჩნიათ ნედლეულის დასამუშავებელი, ხოლო ვაფლის საამქროში — პროდუქციის შესანახი სათავსები. სახარშავ განყოფილებაში შესაცვლელია შემრევი აბაზანა. სამი პასტერიზატორიდან ერთი არ მუშაობს. აღნიშნული საამქროს იატაკი სწორად არ არის დაგებული (არ არის საკმარისი დაქანება წყლისსაწრეტებისაკენ), რის გამოც გუბეები დგება. ჭერიდან და კედლიდან ჩამოცვენილია ბათქაში და კაფელის ფილები, მცირეა გამწოვი ვენტილაციის ეფექტურობა; „ბატონჩიკის" დამფასოებელი დანადგარი პრიმიტიულია და მოითხოვს უჟანგავი ფოლადით შეცვლას. ვაფლის საამქროში აღინიშნება მაღალი ტემპერატურა (35-36 გრადუსი) რაც იმის შედეგია რომ, ნაცვლად პროექტით გათვალისწინებული ორი აგრეგატისა, დამონტაჟებულია ვაფლის საცხობი ოთხი ღუმელი. არსებული მექანიკური და ბუნებრივი გამწოვი ვენტილაციის ეფექტურობა არ არის საკმარისი.

მუშები არ იცავენ სპეცტანსაცმლის ჩაცმის სავალდებულო წესებს, საკმარისი რაოდენობით არ გააჩნიათ სამკლაურები და წინსაფრები. თავზე სპეციალური ჩაჩების ნაცვლად ახურავთ მარლის თავსაბურავები.

საკომპრესორო საამქროდან სიცივის არარეგულარულად მიწოდების გამო ხშირად ირღვევა ტექნოლოგიური პროცესი, ხდება დაფასოებული ნაყინის დეფორმირება. ასევე საკმარისი არ არის ტემპერატურა სწრაფ გამაციებელ კარადებში და საწრთობ საკანში. ეს ნაკლებად გაყინული პროდუქცია ზაფხულის ცხელ დღეებში შორ მანძილზე გადააქვთ მანქანებით, რომლებსაც არ გააჩნია გამაციებელი დანადგარები და საკმაო რაოდენობის მშრალი ყინული. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე, უკარგავს მას სასაქონლო სახეს.

ზემოთ აღნიშნული სანიტარულ-ტექნიკური და სანიტარულ-ჰიგიენური დარღვევების აღმოსაფხვრელად დაისახა სათანადო ღონისძიებები, რომელთა ნაწილი უკვე შესრულებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოდელების ავტორი მხატვარი-მოდელიორი ია სხირტლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასეირნება ვაჟა-ფშაველას ცხენით



ართანა ერთი ლამაზი სოფელია კახეთში. ეს სოფელი ვაჟა-ფშაველას ძალიან ჰყვარებია. მისი ხშირი სტუმარი ყოფილა. აქ პოეტს თავისი ზვარი ჰქონია. ართანაში იმხანად დიდად ნაკითხი პიროვნება — გიგლო ყარალაშვილი ცხოვრობდა. გიგლოს და ვაჟას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. შვილებსაც ერთი სახელი — ლევანი დაარქვეს.

ერთხელ ვაჟა-ფშაველა გიგლო ყარალაშვილს ეწვია. გიგლოს მეუღლემ მანანა ბაბადიშმა ველარ იცნო ვაჟა, მაგრამ მაინც შემოუძღვა ეზოში. ვაჟას ძველი ჩოხა ეცვა, მხრებზე ყაბალახი ჰქონდა გადაგდებული, მხედარი ცხენიდან ჩამოხტა და მანანას უთხრა: — მოახსენეთ ბატონს! ფშაველი ვარ და მისი ნახვა მინდაო. მანანას უფიქრია, ეს ფშაველი ნამდვილად საძოვრების დასაქირავებლად მოვიდაო.

გიგლო შეეგება და სიხარულით გადაეხვია ძვირფას სტუმარს. მერე მანანას მიუბრუნდა და უთხრა: — იცი, მარიამ, ეს ფშაველი ვინ არის? დიდი პოეტი ვაჟა-ფშაველა!

დიასახლისი მაშინვე დატრიალდა სუფრის გასაშლელად, ძვირფასი სტუმრის ღირსეულად მისაღებად. წუთში ყველაფერი მზად იყო. სტუმარიც და მასპინძელიც სუფრას მიუსხდნენ და დიდადაც მოილხინეს.

ვაჟამ ართანაში თავისი პირველი სტუმრობა მოიგონა და გიგლოს პატარა ქალიშვილი ნატალია მოიკითხა. — ახლაც ისევ უყვარს ცხენით ჯირითი? — გაიცინა ვაჟამ.

თვითონ ნატალია ყარალაშვილი ასე იგონებს თავის ბავშვობას და ართანაში ვაჟა-ფშაველას პირველ სტუმრობას:

„ცხენზე ჯდომა შვიდი წლისამ ვისწავლე. ისე ვიყავი გატაცებული, რომ მამაჩემის ცხენს არ ვჯერდებოდი. მამამ საკუთარი ცხენი მიყიდა — ჩემი საყვარელი ნიკორა. ჩვენს ეზოში სხვის ცხენს რომ დაბმულს დავინახავდი, ჩუმად ავუშვებდი და მთელ სოფელს ჭენებ-ჭენებით მოვივლიდი. მესმოდა მოხუცი დედაკაცების მოძახილი, დადექ შე არგასაზრდელოო. თან ქოქოლას მაყრიდნენ შარაგზაზე. სათონის გვერდით დიდი მაღალი ქვა იდო. იქ მივაყენებდი ხოლმე ცხენს, ქვაზე დავდგებოდი და ისე შევჯდებოდი ცხენზე. ერთხელ ასე გავინავარდე ვაჟა-ფშაველას ცხენით, სწორედ იმ დროს, ვაჟა რომ მამას ესტუმრა. მამა სახლში შემოუძღვა ვაჟას. მოჯამაგირეს კი უთხრა, ცხენის დაბმა არ დაგავიწყდესო!

გაკვირვებულმა მოჯამაგირემ იკითხა:

— რას ბრძანებთ, ბატონო! რომელ ცხენზე მეუბნებით. ცხენი აქ სულაც არ არისო.

დედაჩემი ყველაფერს მიხვდა. აღელვებული მოუბრუნდა ვაჟას და უთხრა:

— არ შეწუხდეთ, ბატონო, ეს ჩემი პატარა ქალიშვილის ოინებიაო.

სტუმარი დედას შეეკითხა:

— რამდენი წლისაა თქვენი ქალიშვილი?

— რვა წლისა მალე გახდება, ბატონო!

ვაჟა-ფშაველას გაუცინია და უთქვამს:

— მთის ქალი ყოფილა!

— მთის ქალი კი არა, ქაჯია! მაგის შიშით კაცი ჩვენთან ცხენით ვერ მოსულაო: — უპასუხა თურმე მამამ.

ამის შემდეგ ყარალაშვილებთან ვაჟას ყოველი სტუმრობისას ართანულ სუფრაზე ნატოს ოინების მოგონებას დიდი მხიარულება და სიცილი მოჰყვებოდა ხოლმე.

ნუნუ ბეჟანიშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე — მხატვარ კ. ჭელიძის პლაკატი — ლენინი; მეოთხეზე — „ლენინი ჯავშნოსანზე“ — პ. სტარონოსოვის გრავიურა.


| | | |
|---|---|---|
| რედაქტორი<br>მარიკა<br>ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: გ. განძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ლ. შეწირული, თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).<br>ტექრედაქტორი ნ. ბუკია | საქ. კპ ცენტრალური<br>კომიტეტის<br>გამომცემლობა |

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №,№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5/III-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/IV-80 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 134.100. შეკვ. 680. უე 07332. **ფასი 30 კაპ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლუბა შეწირული,
პროფესორი.



# ჭორფლი

კანის სხვადასხვა ფერს ძირითადად მის ზერელე შრეში არსებული პიგმენტის — მელანინის რაოდენობა განაპირობებს, რომელიც კანს მზის რადიაციისაგან იცავს. კანში მელანინის სწრაფი დაგროვება და მისი უთანაბრო განაწილება პიგმენტურ ან დეპიგმენტურ ლაქებს აჩენს. ჭორფლი კი კანის პიგმენტაციის ფუნქციის სწორედ ასეთი დარღვევის შედეგად გაჩენილი კოსმეტიკური ნაკლია: სახეზე, ზედა კიდურებზე, კისერზე, გულ-მკერდზე და ზურგზე მოყვითალო ყავისფერი ლაქები ჩნდება. ლაქები სხვადასხვა ფორმისაა და არ იქერცლება. ჭორფლი მეტწილად ქერებს აქვთ. იგი ჩვეულებრივ თანდაყოლილია, მაგრამ შემოდგომაზე და ზამთარში უფერულდება, ზოგჯერ კი თითქოს ქრება კიდეც. გაზაფხულზე და ზაფხულში უხვი ულტრაიისფერი სხივების შემცველი მზის მოქმედების შედეგად კანის მგრძნობელობა მატულობს და მისი პიგმენტაციის ფუნქცია ძლიერდება, რის გამოც პიგმენტი გროვდება და ლაქები კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჭორფლი გაზაფხულზე ჩნდება. აქედან წარმოიშვა ასეთი ლაქების რუსული ხალხური სახელწოდებაც — „ვესნუშკა". ბერძნულად ჭორფლს ჰქვია „ეფელიდეს", რომელიც პირდაპირი თარგმანით მზეზე ყოფნას ნიშნავს, ამრიგად, ჭორფლიანი კანი მოვლა-დაცვას უკვე თებერვალმარტში საჭიროებს. შავგვრემანების ცხიმიანი კანი მზის სხივებს უკეთ იტანს, ვიდრე ქერა ადამიანის მშრალი კანი. ცნობილია, რომ ქერა ქალის კანი უფრო ნაზია, მცირე რაოდენობით გამოიმუშავებს პიგმენტს და ამიტომაც მზე ადვილად ეკიდება. ამიტომ არის, რომ ნამზეური შავგვრემანებს ყავისფერი აქვთ, ქერა ქალებს კი წითელი და ქერცლიანი.

ჭორფლის — ლაქების გამუქების საწინააღმდეგო ყველაზე კარგ პროფილაქტიკურ საშუალებად, კანის მზის სხივებისგან დაცვა ითვლება, განსაკუთრებით გაზაფხულზე. ამ მიზნით, გარდა ქოლგისა (უკეთესია წითელი და ყვითელი ფერის ქოლგები) და დიდფარფლებიანი ქუდისა, მუქი სათვალეც უნდა გამოიყენოთ, რადგან ულტრაიისფერი სხივები თვალის ბადურასაც აღიზიანებს და ეს უკანასკნელი კი რეფლექტორულად აძლიერებს კანის პიგმენტაციას.

ჭორფლის მოსაშორებლად საჭიროა რქოვანას გამარბილებელი საშუალებებით კანის რქოვანა გარსის აქერცვლა. აქ გვინდა გაგაფრთხილოთ, რომ ასეთი პროცედურები მხოლოდ კოსმეტოლოგიურ სამკურნალოში, ექიმ კოსმეტოლოგის მეთვალყურეობით და მხოლოდ ზამთრის თვეებში უნდა ჩატარდეს! რქოვანას მოშორების შემდეგ რჩება ახალი, მეტად ნაზი, რბილი და თითქმის სრულიად უპიგმენტო კანი, რომელიც მზის სხივებისადმი კიდევ უფრო მგრძნობიარე ხდება და ძალიან სწრაფად კვლავ ლაქები ჩნდება, რომლის მოშორებაც მეტად ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება. ამიტომ ლაქების მოშორება თუ ზამთარში ვერ შეძელით, გაზაფხულზე და ზაფხულში მხოლოდ მათეთრებელი და მზისგან დამცველი საშუალებების გამოყენებით უნდა დაკმაყოფილდეთ. ამისათვის არის სპეციალური ფილტრიანი კრემები: „ლუჩი", „შჩიტი", „პრიზი", „ზაშჩიტნი", „მაი", „ლივადია", „ოგნი მოსკვი" და სხვა. დამცველი კრემი დილით, მზეზე გასვლის წინ ნაზად უნდა წაისვათ (უმჯობესია სველ კანზე), ქაღალდის ხელსახოცით შეამშრალოთ და ზემოდან დამცველი პუდრის („კურორტნაია", მუქი რაშელი და სხვა) თხელი ფენა გადაისვათ. თუ ასეთი პუდრი არა გაქვთ, შეიძლება ჩვეულებრივ პუდრს, რომლითაც თქვენ სარგებლობთ, 5-10 პროცენტი სალოლი დაუმატოთ.

თუ თქვენი კანი ვერცერთ დამცველ კრემს ვერ იტანს, შეიძლება დილით სახეზე კვერცხის გული გადაისვათ და შემდეგ მაწვნით, რძით ან წყლით ჩამოიბანოთ. თუ მზისგან დამცველი საშუალებებით სისტემატურად ისარგებლებთ გაზაფხულ-ზაფხულზე ჭორფლი აღარ გაგიჩნდებათ.

უკვე გაჩენილი ლაქების გასაუფერულებლად ცხიმიანი კანი უნდა გაისუფთაოთ წყალბადის ზეჟანგით, ლიმონის წვენით, ლიმონის სიმჟავით, სუფრის ძმრით და სხვა. მშრალი კანის გაწმენდა უკეთესია მაწვნით ან კეფირით. მათი დატოვება კანზე 15-20 წუთითაც შეიძლება. ჩამობანვის შემდეგ სასურველია მკვებავი კრემის გადასმა. კანს ასევე კარგად არბილებს და ათეთრებს ხილის და ბოსტნეულის (ხენდროს, ლიმონის, კიტრის, პამიდორის და არაყანის ნარევი, თანაბარი რაოდენობით) ნიღაბი, რომელსაც 10-15 წუთის შემდეგ ჩამოიბანთ, მერე მკვებავ კრემს ნაზად გადაისვამთ, ერთი საათის შემდეგ კი სახეს ქაღალდით შეიმშრალებთ. ცხიმიანი, ფორებიანი კანისათვის კარგია ალუჩის, ვაშლის, ხურმის და ლიმონის ნიღაბი.

მათეთრებელი ნიღბებიდან შეიძლება შემდეგი შენაერთების გამოყენება:

ლიმონიანი თაფლის ნიღაბი — 100 გრ თაფლს დაუმატეთ ერთი ლიმონის წვენი (დიდხანს ინახება), დაიდეთ სახეზე და 15-30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

ხაჭოს ე. წ. შვედური ნიღაბი — 3 ჩაის კოვზი ხაჭო და 1 ჩაის კოვზი თაფლი ათქვიფეთ კრემის მსგავსად და დაიდეთ სახეზე 15-20 წუთით, შემდეგ რძით ჩამოიბანეთ.

შვრიის ან სიმინდის ფქვილის ე. წ. ჰოლივუდის ნიღაბი — ორ სუფრის კოვზ ფქვილს დაუმატეთ ერთი კვერცხის ათქვეფილი ცილა, კარგად აურიეთ, დაიდეთ სახეზე და 15-20 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

მშრალი კანისათვის უკეთესია შემდეგი შემადგენლობის ნიღაბი — არაყანი, ნაღები და ლიმონის წვენი (თანაბარი რაოდენობით); 5-10 წვეთი წყალბადის ზეჟანგი, კარგად აურიეთ და ჩხირზე დახვეული ბამბით სახეზე გადაისვით, 30-40 წუთში თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ასეთი ნიღბები უნდა გაიკეთოთ ძილის წინ, ყოველ საღამოს ერთი თვის განმავლობაში.

თუ ყოველივე ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, სხვადასხვა მათეთრებელი კრემების და მალამოების ხმარებაც შეიძლება. მათი წასმა შეიძლება მხოლოდ ლაქებზე (თვალების ირგვლივ არ შეიძლება) და საღამოს, არა დაბანვის, არამედ კანის ლოსიონით გასუფთავების შემდეგ. მათეთრებელი კრემებიდან შეიძლება გამოიყენოთ „ჩისტოტელი", „ვესენი", „ვესნა", „დეპიგმანი", „მელანი", „მოლოჩნი" და სხვა. მათეთრებელი მალამოების ხანგრძლივად ხმარება არ შეიძლება, რადგან ისინი ორგანიზმისა და კანისათვის მავნე ნივთიერებებს შეიცავს. მათი გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ ზამთარში. გაზაფხულ-ზაფხულში კი მათეთრებლებად უმჯობესია ზემოაღნიშნული ხილბოსტნეულის წვენებისა და ნიღბების გამოყენება. ისინი მდიდარია ვიტამინებით, რომლებიც კანს ასუფთავებს, კვებავს, ათეთრებს და არბილებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ აღნიშნული რჩევები მეტად ინდივიდუალურია და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შერჩევას საჭიროებს, რადგან მოსახლეობის დიდ უმეტეს ნაწილს სხვადასხვა პრეპარატებისა და საკვებისადმი ორგანიზმის რეაქტიულობის მომატება აღენიშნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. 61/66



ინდექსი 76178